


ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითელი სანიჭი




№ 3

საბავშვო ჟურნალი - 1926 წ.




შ ი ნ ა ა რ ს ი.

	გვ.
1. კომუნის ძეგლი—ლექსი ნინელ პარისელისა	1
2. პარიზის კომუნა და ახალგაზრდობა—შანისა	2
3. პარიზის კომუნას—ლექსი გ. რობიტაშვილისა	4
4. გაზაფხულისაკენ—ლექსი ფ. მდივანისა	4
5. გატეხილი თოფი—კ. ლ—ძისა	5
6. რაჭა (მგზავრის შთაბეჭდილებანი)—ე. პოლუმორ- დვინოვისა	10
7. რემედას—ს. ე—ლისა	15
8. საქ. ახ. კ. კ. მერვე ყრ-ბის დელეგატები—(სურათი)	17
9. ქალი გამარჯვებული—ლექსი ე. პოლუმორდვი- ნოვისა	18
10. მუშა-ქალების დღე—მ. არე—ისა	18
11. როგორ მზადდება ფანქარი—პ. შ—სი	19
12. მამონტების სასაფლაო—ნ-სი	23
13. რა დაადგინა ს. ა. ლ. კ. კ. მე-მ ყრილობამ სკოლა- ში პიონერთა მუშაობის შესახებ—შე—ლისა	29
14. გასართობი: გეომეტრიულ-ლიტერატურული აშო- ცანა, როგორ გაიყვანეს ჩინელებმა რკინის გზა, შა- რადა, ვინ მოტყუვდა	30
15. თამაშობა—(ლეკური) მუს. თ. შავერზაშვილისა	32



899.962.1(05)
წ-63.



1926

განათლების სასაღვთისმშობლის სოციალური აღზრდის მთავარმართებლობის და საფ. ა. ლ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აქრნალი შავშინისათვის.

წელიწადი 3
№ 3


ქ ა რ ს ი

კომუნის კვლი.

პარიზის ძეგლი!

შენ დაანთე უამრავ გულთა საღვთო
ცეცხლი კომუნის,
და დიდების შარავანდედით
ქვეყანას უცქერ.
წავიდა ის დღე წელთა მხარის,
როცა შენს ზურგზე
მზე ელავდა წითელი ქვეყნის,
და ამოვარდა
ის ქარიშხალი გაცეცხლების და მოლოდინის,
რომ დაიყვირა:
გზები კომუნას!!!
ის მოდის ათასი მუშის ათასი მკლავით.
და დღეს შენს სახელზე მილიონჯერ დაიყვი-
რებენ

ქარხნებიდან და დაზგებიდან.
დღეს კიდევ იტყვის მუშათა
სახლი,
ეზო
და ბინა,
რომ ოქტომბერმა შენის მზით შემოანათა.
მოგესალმება!!!
მოგესალმება, როგორც გოლიათს ბრძოლის
ცეცხლით,
როგორც გოლიათს რევოლუციის,





როგორც მებუკეს,
პირველად რომ დაიყვირა:
კომუნისათვის!..

*
*
*

პარიზის ქუჩაგ!!!
შენს ზურგზე ბევრი დაეცა მკვდარი,
ბევრი დაკარგე, როგორც ამაყმა
და ნიაგარის ღონით სავსემ.
პარიზის ქუჩაგ!!!
შენს ზურგს, კომუნარის სისხლით შეღებულს,
დღეს ესალმება ქუჩა
მოსკოვის და ტფილისის,
ქუჩა, რომელმაც აამხვეა
ეს გამარჯვება...
პარიზო,
ძეგლო ყველა გაცეცხლების და ამბოხების!!
ტყვიებმა დაგიმხვრიეს ბარკადები,
მაგრამ შენ მაინც
ცოცხალი ხარ მილიონებში
და დიდების შარავანდედით
მათ სახელს ამკობ,
ვინც იერიში მიიტანა გამარჯვებისთვის,
ვინც პირველად დაიძახა:
ბრძოლა კომუნისათვის.



წინელ პარიხელი





პარიზის კომუნა და ახალგაზრდობა.

რამოდენიმე ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პარიზის პროლეტარიატმა ერთი ხელის დაკვრით დაამარცხა მწავერელ-მყვლეფელთა ძალა-უფლება.

მართალია, პარიზის მშრომელი კლასის, პროლეტარიატის, მიერ ხელში აღებული ძალა უფლება ხანმოკლე გამოდგა, ძვირად დაუჯდა მას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც დიდი მნიშვნელობა მოიპოვა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის პირველმა ცდამ. მაგრამ ჩვენთვის, ახალგაზრდობისათვის, ერთი მთავარი მნიშვნელობა აქვს მას, თუ რა როლი შეასრულა პროლეტარულმა ახალგაზრდობამ პარიზის კომუნის დაცვისთვის ბრძოლაში ვერსალელთა წინააღმდეგ, იმ ახალგაზრდობამ, რომელიც ყოველთვის ითვლებოდა და ითვლება რევოლუციონური მრწახის მატარებლად.

და ჩვენ ვუპასუხებთ, რომ პროლეტარულმა ახალგაზრდობამ პარიზის კომუნის დაცვაში ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიჭირა, ახალგაზრდები მუშებთან ერთად ხელი-ხელჩაკიდებულნი გამორულად იბრძოდნენ რევოლუციონური არმიის რიგებში.

ცნობილ ბარიკადს შატო დაოს (ახლანდელი რესპუბლიკის მოედანი), რომელიც იყო მთავარი გასაყვლელი გზა ვოლტერის ბაღისაკენ და რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იფარავდა კომუნარებს ვერსალელთა მიერ გამოსროლილი ყუმბარებისა და

ტყვიებისაგან, იცავდა მცირე რაზმი, რომელთა შორის მთავარ ყურადღებას იქცევდა 14 წ. ახალგაზრდა, რომელიც მედგრად აფრიალებდა რაზმის დროშას ბარიკადების თავზე. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ის დაეცა მტრის ტყვიისაგან გულგამირული. მეორე ახალგაზრდამ სწრაფად აიღო დროშა და აფარდა ბარიკადების მაღალ ქვებზე. ის მრისხანედ გადაჰყურებდა უხილავ მტერს და ემუქრებოდა მას, მიუხედავად იმისა, რომ ჟაკლარი, ილასაბონი, ტეისი და ვერმოლერი დიდხანს ეძახდნენ მას, რომ ჩამოსულიყო ძირს. ის უარს ეუბნებოდა მათ და განაგრძობდა თავის საქმეს, სანამ ტყვიამ არ ჩამოაგდო ძირს. ერთი ახალგაზრდა ლეიტენანტი მოკლულ იქნა გამირული ბრძოლის დროს. 15 წლის ახალგაზრდა, გვარად დოტელი, სწრაფად დაეშვა ბარიკადების წინ, მიუხედავად იმისა, რომ სროლა ძლიერ სასტიკი იყო, თვალის დაზარალებაში აიტაცა მოკლული ამხანაგის კეპი და დაბრუნდა უკან.

ტამპლის მიდამოების ბარიკადზე ყველაზე უფრო მეტი შამაცობა გამოიჩინა 14 წლის ახალგაზრდამ, რომელიც დამარცხების უკანასკნელ წუთებამდე განაგრძობდა შეუპოვარ ბრძოლას. როდესაც ხსენებული ბარიკადი ვერსალელებმა ჩაიგდეს ხელში, ყველა მისი დამცველები ვერსალელებმა კედელთან გააჩერეს დასახვრეტად. 14 წლის ახალგაზრდამ სთხოვა ვერსალელთა ჯარის ოფიცერს, სამი წუთი მიეცათ მისთვის, რომ მახლობლად მცხოვრები დედისათვის ვერ-

ცხლის საათი მიეტანა. შეწუხებულმა ოფიცერმა მის-
ცა მას ნება. დარწმუნებული იყო, აღარ დაბრუნ-
დებაო, მაგრამ სწორედ სამი წუთის შემდეგ გაის-
მა დაბრუნებულის გაბედული ხმა: „აი, მე აქა ვარ!“
ის სწრაფად მივიდა იმ კედელთან, სადაც ეყარა უამ-
რავი გვამი მებრძოლ კომუნართა.

სრულიად სამართლიანად ამბობს პარიზის კო-
მუნის ცნობილი ისტორიკოსი ლისაგარე, უკვდავია
პარიზი, სანამ მასში იბადებიან ასეთი გმირი ადამი-
ანებო. აი, რას სწერს ერთი ნაციონალური გვარ-
დიელი სამხედრო დელეგატს:



კომუნის ჯალათი ტიერი

„... მე დამრჩა ერთი შვილი. მალე მას 16
წელი შეუსრულდება. მას სურს მთელი თავისი ძაღ-
ლონით იმსახუროს რომელიმე ბატალიონში“...

მაქსიმ დიუ-კამის გამოკვლევით ახალგაზრდე-
ბის რიცხვი, რომლებიც იბრძოდნენ პარიკადებზე,
აღწევდა რამოდენიმე ათიათასამდე, რომელთაგან



კომუნის გმირი ქალი ლეიზა მიშელი

რამოდენიმე ათასი გმირულად დაეცა ბრძოლის ველ-
ზე პროლეტარული რევოლუციის დაცვისათვის. მაგ-
რამ ჯალათმა ვერსაღებებმა არ იკმარეს ახალგაზრ-
დათა მიერ ბარიკადებზე დაქცეული სისხლი და შემ-
დეგ დამარცხებულთ დაუწყეს ტანჯვა-წვალება. ვერ-
საღელთა სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილე-
ბის თანახმად საფრანგეთიდან გადასახლებულ კომუ-
ნართა შორის მრავალი ახალგაზრდა იყო. გარდა
ამისა, პარიზის სხვადასხვა სატუსალოებში მრავალი
ახალგაზრდა იტანჯებოდა, რომლებიც გმირულად
იტანდნენ ყოველივე ტანჯვა-წვალებას, არ უშინდე-
ბოდნენ არავითარ სისასტიკეს. ამრიგად საერთაშო-
რისო პროლეტარული რევოლუციონური ახალგაზრ-
დობის ისტორიაში პარიზის კომუნის ახალგაზრ-
დობამ სისხლიანი ასოებით აღბეჭდა, თუ როგორ
უნდა ბრძოლა უკეთესი მომავლისთვის, კომუნის-
მისთვის. და, აი, ახლა ჰპოვა მათმა მისწრაფებამ გა-
მოძახილი მსოფლიოს ერთ ნაწილში, სახელდობრ-
რუსეთში, სადაც ყველა მშრომელი, ხელი-ხელჩაკი-
ლებული კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის
ქვეშ, გმირულად იბრძვის მსოფლიო კომუნის დასა-
არსებლად, რომლის გულისათვისაც დაეცნენ უთანა-
სწორო ბრძოლაში ჩვენი ძვირფასი ძმები, პარიზის
კომუნარები.

შანი.



ჩვენ შევცვლით დაღლილ, დახოცილ გმირებს.

პარიზის კოშკი.

ბარიკადებზე სისხლიან მკერდით
მედგრად იბრძოდენ კომუნარები.
აფრიალებულ წითელ დროშებით
სჩანდა პარიზი ბედნამწარები.

გამოხვეული ცეცხლისა აღში
და სასიკვდილოდ გამზადებული
იბრძოდა იგი, და იმის ხმაში
მოსჩანდა ვნება გაშმაგებული...

მაგრამ მომავლის მეტროდ კომუნას
ბედმა უმტყუნა .. გადატყდა ხმალი,
დაეშვა დროშა, დროშა წითელი,
ბნელმა მოიცვა კვლავ მომავალი...

და პარიზიც ხომ შესტრფოდა ნათელს
ავარსკვლავებულ ბედის სურვილით,
ნაცვლად ღამეებს ტანჯვაში ათუეს,
სისხლის ღრუბლებით ჩამობურვილი...

და თუმცა მოსწყდა ბედი კამარას,
მაინც დისკოზე დასტოვა კვალი,
კვლა უშლელი, სამარადისო,
რომელსაც მისდევს დღეს მომავალი...

გ. რობიტიშვილი.

გაზაფხულისკენ

როვნული
გიგლიოთიქა

ცა—მტრედის გულა,
მზე—ზეწარაო,
ცა მოკასკასე,
მთა აკიდულო,
ცა—მოქედილო
ვარსკვლავთ მარაო,
ცა მთვარე-გულა
გამობინდულო;
ყინვა ზამთარი
ველად ატარე—
გაზაფხულისკენ
თვალი მზირალა,
მთებს ბორკილები
ჩამოამტვრიე,
მდინარეებად
ლეღე მტირალა.
მინდვრის ყვავილებს
მორცხვი ქალივით
ვალერსება
მზე ცის თვალაო,
დღე გაზაფხული
მოქრის ქარივით.
მწყემსმა გარეკა
მთებში ფარაო.
აღარ გაფიქრებს
ზამთრის დარდები,
თვე თებერვალი
შემოიკალთე.
მინდვრის ხალისში
გადავარდები—
მინდვრის ჩიტებთან
ლხენა გამართე.
ტყე ვარეკილი
მოიფოთლება,
ტყის სიხალისე,
ჩიტების სტკენა,
ყანას მოლარავს
გუთნის ბორბლება.
ცის განთიადი,
ურმულის მღერა.
ცა-მტრედის-გულა,
მზე—ზეწარაო,
ცა მოკასკასე,
მთა აკიდულო,
ცა—მოქედილო
ვარსკვლავთ მარაო,
ცა მთვარე-გულა
გამობინდულო.



სწრაფი ნაბიჯები მიჰყავდათ ქალს და მგზავრების შეშინებული სახეებს.

დატვირთული ეტლები — ბავშვებით, ქალებით, ქვეშაგებებით — სწრაფად გადიოდა ქალაქიდან.

იცილებოდა ქალაქი.

ყველგან „რევოლუცია“ და „ბაშენიკები“ გაისმოდა.

ქუჩაზე არც ის დარაჯი სჩანდა, ყველაზე უფრო რომ ეჯავრება შალვას.

სხვას რომ თავი დაანებო, ისეთი პატარა რამისთვისაც კი იცილებდა, როგორც, მაგალითად: ძლიან გშოდეს და ძია სიმონს პური მოჰპარო, ან ყაფანზე „რქიან“ გლესს ლობიოანი ქაღი ააცოცო!

ახლა ძლიერ სიამოვნობს შალვას, რომ ის დარაჯი არ სჩანს, მაგრამ წითელი ნაწერი და თოფი რომ ვერსად იშოვა?!

ძლიერ კი უნდა...

უჰ, როგორ უნდა! რომ იცოდეს აი იმ ჯაგვაზე შესკუპულმა თოფიანმა „საღდათმა“, უთუოდ მისცემდა.

წელან ერთს კიდევ სთხოვა, მან კი გაბრაზებით შემოაგინა, თუმც შალვაც არ ჩამორჩა თავისი მხრით და თოფლის გუნდა ზე კაკალ ცხვირზე მიაფშვანა.

არა, არა, რათაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა იშოვოს!

ჩანჩურა პავლიკიასაც რომ აქვს ხიშტი და ამყად მიაბიჯებს ქუჩებზე, ამა სულ მოუკლა გული!

დადგება შორიასლო წითელნაქრიან და თოფიან კაცებთან და ვითომ საქმის კაცი იყოს, ისე იტყირება აქეთ-იქეთ!

დასწყევლოს ეშმაკმა, ამ შიმშილმა სულ გაუტირვა საქმე, თორემ რაღაცას კიდევ მოახერხებდა!

არა, ჯერ ერთი კარგად გამოძიდეს, მერე უთუოდ იშოვის.

ბოლოს და ბოლოს ჩანჩურა პავლიკიას ხომ მოერევა მაინც?

ჯერ დაპირდება რამეს, თუ არ მისცა, მერე გალაზავს და ძალათ წაართმევს.

ამ ფიქრებით გულდამშვიდებული შალვა წამოდგა და ძუნძულ-ძუნძულით გაეშურა ნაცნობი მეპურისკენ.

ვაჭრებს მალაზიები დაეკეტათ, დარაბებთან მოეყარათ თავი და თავის ქნევით ჩურჩულებდნენ.

შალვა დაილაღა.

სულ შემოირბინა მთელი ქალაქი და ვერსად ვერაფერი ვერ იშოვა: ვერც ხიშტი, ვერც თოფი, თუნდ სულ უბრალო, ვერც წითელი ნაჭერი.

წყდებოდა გული.

პატარა ლეკვივით ხან მკლავებზე წითელნაქრიანების მიმავალ გუნდს გამოუდგებოდა, ხან ბარგი-ბარხანით და თოფებით დატვირთულ ჯაგვებს, მაგრამ არაფერი ეშველა.

არავინ ყურადღებას არ აქცევდა.

თოვდა.

თებერვლის სუსხი წუთითაც არ ავიწყებდა შალვას, რომ შიშველ ფეხებზე და გათოშილ ხელეებზე უნდა ეზრუნა.

მოახლოებულმა შუადღემაც დაჰკრა შიმშილის ხარი კუჭში!

რა ამბავია დღეს შალვას თავზე, რაღა დღეს გაუძნეა და ყველაფრის შოვნა, მაინცადამაინც დღეს, როცა არ სცალია, როცა უფრო დიდი რამე აქვს საშოვნელი:

ან თოფი, თუნდ რომ არ ვარდებოდეს კიდევ, ან წითელი ნაჭერი!

აძვირფასებულ სხეულს ჩამოხურულ ტომარაში მალავდა და პატარა ფეხებს სწრაფად ატიქინებდა გაღვსილ თოფლში.


რა დაემართა დღეს!

კუდ ფეხზე ადგა, თუ რა არის!

წუხელი სულიც არ სძინებია, მიტოვებული დუქნის დარბაზში ისე ციოდა, როგორც საყინულეში! ბადის კუთხეში ჩამოჯდა დაღლილი.

დაფიქრა.

მთელი ქალაქი ირეოდა, ლელავდა.



შალვამ სასწრაფოდ ცალი თვალი დახუჭა და ხმა მოისაწყლა!

— ძია, პური მშია, მაჩუქე!
— დაიკარგე აქედან, შე მამაძაღლო!
გამოუდგა ერთი.

შალვამ უკან ისკუბა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიაყვირა:

— გაუმარჯოს „ბაშენიკებს!“
და გაიქცა.

შალვამ იცოდა, რომ დღეს რატომღაც ისეთი დღე დადგა, სხვანაირი, რომ ყველა მის მტრებს თოვლის გუნდაზე და ენის გამოყოფაზე უფრო ეს სიტყვები სწყინდათ.

დღეს დილით რამდენი აწვალა საკანდიტროს წინ მსხვილი ხაზენინი!

მთელი საათი სულ „გაუმარჯოს ბაშენიკებს და რეველიციასო“ უძახოდა.

ხაზენინი იგინებოდა, შალვა კი იცინოდა.

სიმონის ფურნე ღია იყო.

— გამარჯობა, ძია სიმონ! — მიესალმა შალვა ღიმილით, რომელიც ამბობდა, პური მინდა და მომეციო!

— დეიკარქე აქედან, შე წუწკო, შენა!
გამოევიდა სიმონი.

შალვა არ მოელოდა სიმონისაგან ასეთ შეხვედრას, ყველაზე უფრო ერთგულად ის უხდიდა შალვას „ხარკს“.

შალვა დაფიქრდა, შემდეგ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, გარეთ გამოვარდა, მიიხედ-მოიხედა და სწრაფ დაიყვირა:

— ძია სიმონ, ძია სიმონ, რეველეცია მოდის, რეველეცია!

— რას ამბობ, ბიჭო!
— ჩქარა, ძია, ჩქარა! — შეხედე!
შეშფოთებული სიმონი გარეთ გამოვარდა.
— ხა—ხა—ხა, — მოესმა უკნიდან.
მობრუნდა და

შალვას ქუსლები ბურთებივით მიხტუნავდნენ. ხელში თავისოდენა შოთი პური ეჭირა.



— აი დაგლახვროს ეშმაკმა! — გამოაკიდა კული მოსულმა სიმონმა.

— რამდენ გოზინაყს მომცემ?

შალვამ წამოტეხა მესამედი პურს და ებრაელის ბიქს, რომელსაც გოზინაყებით და ირისებით სავსე პატარა კოლოფი ეჭირა, აჩვენა.

— ხუთს!
— დაგახველებს!
— აბა რამთენე
— ათი!

— ვაი, ვადაი, ათი გოზინაყი მოგცე მაგაში, ათი გოზინაყი?

— ცხელია, ხომ ხედავ, აი! . . . — და შალვამ მაღიანად ჩაიბღუჯა ორივე ხელით ლუკმა პირში.

დიდხანს ივაჭრეს. მორიგდნენ.

შალვა კმაყოფილი დარჩა სადილით. თითების ლოკვით და „ჩუმჩაირას“ სიმღერით გაუყვა ქუჩებს,

თრვდა.

შუადღის ხუთი იქნებოდა.

ქალაქში მსვლელობა თანდათან წყდებოდა.

მხოლოდ ქუჩებში ნელა მოაბიჯებდნენ წითელნაჭრიანი კაცები და ბალთან მდგომი უქმად მოლანზლანდარე ცნობისმოყვარენი.

შალვა აედევნა და ჯავრი მოუვიდა, როცა უცნობის გადაგდებული პაპიროსის ნამწვი აიღო.

— ჩემსავით გატყავებულია ვინცხაა, რავა კარდონამდე დოუყვანია, ბიზოკიც აღარ დუუტიებია, — ჩაიბუზღუნა და ის იყო დააპირა გადასვლა მეორე მხარეზე, რომ ამ დროს ვიღაცამ დაიყვირა: მოდიან, მოდიანო, და ხიდისკენ გაიშვირა ხელი. მთელი ხალხი ერთბაშად მოსწყდა და ცხვრებავით აქეთ-იქეთ გაიფანტა.

შეიქნა ერთი არევ-დარევა.
ყველამ დარაბებისკენ და ღია დუქნებისკენ მიაშურა, ქუჩაში მხოლოდ შალვა და წითელნაჭრებიანები დარჩნენ.

ისინი ამშვიდებდნენ ხალხს:
— ნუ გეშინიათ, კაცის მჭამელები კი არ არიან. შალვამ გაიხედა ხიდისკენ.

შავი ნაბღებით, ბოხობის ქუდებით მხედრები მოჰქროდნენ.

მათ მიეგებენ წითელნაჭრიანები.
ცოტა ხანს შემდეგ გამოჩნდა ჯარისკაცების რიგები. ზოგიერთებს ფეხები შალვასავით ჩვრებით ჰქონდა ვაკრული.

მხედრებმა რაღაცა ილაპარაკეს წითელნაჭრიანებთან და მერე საჩქაროდ გასწიეს სადგურისაკენ. უკან დაედევნა შალვა.



შემდეგ მოინდომა წინ გადარბენა და ფეხებში გაეჩხირა მხედრებს.

— Эй, пацан, куды лезешь?—მოესმა ხმა. (ეი, პატარავ, საით ძვრები!)

შალვამ გაიგო და გაიღიმა. მიხვდა, არ უჯავდებოდნენ, „პაცან“ ცირკში გაეგონა, იქ პატარა ბიჭი სინახე თამაშობდა და მას უძახოდნენ დიდები. ამიტომ შალვამ თამაშად ასწია თავი.

სამხედრო სალამი მისცა და სადგურისაკენ გაიშვირა ხელი.

მხედარმა გაიღიმა.

შალვამ ხელი გულზე დაიკრა და მიახალა: „ბაშენიკ“.

მხედრებმა გაიცინეს. ერთმა ჯარისკაცმა თავზე ხელი გადაუსვა და ნიკაპით მოსწია.

დაიძრნენ.

შალვამ წინ გაუსწრო და თავის ოდენა ნაბიჯებით, ხ-ნ კუნცულით, გასწია.

სადგურთან მისვლამდის მოისმა სროლა, ერთი, ორი უფრო გაძლიერდა.

— ვერ მოასწრეს, უთუოდ, გასვლა!—სთქვა ერთმა.

— ჯავშნიანი მატარებელია, რიონთან აყრილია რკინის გზა. დაბრუნებულა!—

— დანარჩენი ვაგონების გაყვანა თუ სურს!—

— დიახ, დღეს ტვირთავდნენ, ერთი ეშალონი ჯერ კიდევ არ გასულა.—

— ნაწილი თუ გაგზავნეთ ჩვენი, სურსათი არ დაანებონ —

— დიახ, იმათ ესვრიან. უთუოდ არ დაანებებდნენ ვაგონებს!

— აფუჩქაროთ!—

შემდეგ შალვამ გაიგონა რუსული ბრძანება. ჯარისკაცებმა თოფები ჩამოიღეს და სხვანაირად მოეწყვენ.

— სად მიხვალ, ბიჭო, მოგხვდება!—

— არა, ძია, აი, ამ ტომრებს ამოვეყარები,— და შალვა მარდად ამოცოცდა იმ კედლიდან, რომლის უკან ჩაისაფრენ ჯარისკაცები და წითელნაჭრიანები.

სადგურზე, სადაც საქონლის ვაგონები იდგა, გახშირებული ტყვია კაკანებდა.

წინ მოედანზე ეყარა ფქვილით, შაქრით, ლობიოთი, ვაზნებით, საპნებით და ქვაბებით სავსე ტომრები და ყუთები.

მოედანზე კაცის ქაჭანება არ იყო. მხოლოდ უკანა მხარეს, კედლის ძირში, ჩასაფრებული ჯარისკაცები უტდიდნენ მეთაურის ბრძანებას.

იქვე თათბირობდნენ წითელნაჭრიანები. მელნიც ქალაქის მშვიდობიანობის დამცველად მისიის წევრები იყვნენ, და რომელთა დამსგავსებაც ძლიერ უნდოდა დილით შალვას.

რკინის გზის ლიანდაგზე კი იდგა უკანასკნელი თავშესაფარი მენშევიკთა ეშალონისა, რომელმაც ქალაქიდან გასვლა ჯერ მოასწრო.

ეს თავშესაფარი ჯავშნიანი მატარებელი იყო, რომელიც ფანტავდა ტყვიებს და ზარბაზნით ემუქრებოდა კედლის უკან ჩასაფრებულ ბოლშევიკთა პოლკის მოწინავე ნაწილს.

— რა ვქნათ, ვუპასუხოთ!—ჩურჩულებდნენ კედელთან.

— არ ღირს, სულ ერთია, ვერაფერს დავაკლებთ, დაფუცადოთ დამხმარე ძალებს, სანამ მოგვეშვ... ხმა ყელშივე გაუჩინა და მეორეს სახელო მოსწია.

— შეხედე! ის ხომ ჩვენი ბიჭია!— მეორემ გაიხედა.

მოედანზე, სადაც ეცემოდა ტყვიები, ჩუმად, გველივით მიცოცავდა შალვა.

— მოჰკლავენ მაგ უღმერთონი!—

— რა უნდა, ნეტავ?— და გააყოლა თვალი. უცებ შეკრთა და ცრემლი მოერია.

— ხედავ!—

შალვა მუცლით უახლოვდებოდა შუა მოედანზე დაგდებულ გატეხილ თოფს.

— თოფისთვის მიდის, წელან მე მთხოვა, მომეცა, ძლიერ მინდაო.—

მართლაც, შალვას ამ გაცხარებულ სროლაში წუთითაც არ დავიწყებია თავისი სურვილი და რადგანაც აქ ვერსად იშოვა, ის იყო, დააპირა წასვლა, წავალ, მოვნახავ პავლიკიას და წავართმევო, რომ უცებ მოედანზე დაგდებულ თოფს მოჰკრა თვალი. სიხარულით ბევრი არ უფიქრია და ნელ-ნელა გასწია ცოცვიო საყვარელი საგნისაკენ.

მეთაურები გაფაციცებით აღევნებდნენ შალვას თვალს.

ყოველი ტყვიის დაცემაზე ჰკრთებოდა მათი გულები, შალვა კი უშიშრად განაგრძობდა ხოხვას. სროლა უფრო გახშირდა მატარებლიდან.

— დაილუპება, მოხვდება!—დალონებით წაიჩურჩულა ერთმა, რომელიც საკუთარ საფრთხეს ივიწყებდა და საფარიდან თავი ამოეყო. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გადასძახა:

— დაბრუნდი, პატარავ, მოგხვდება!—შალვამ გაიგონა.

ამ დროს კიდევც მიადწია თოფს, დაავლო ხე-



ლი, წამოიწია და ღიმილით გადმოხედა კედელს, საიდანაც ხმა მოესმა.

— არ გეშინოდა? — ეკითხებოდა წუთის შემდეგ დაბრუნებულ შალვას მეთაური.

შალვა იღვა გაბრწყინებული სახით.

მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

ახლა თოფი აქვს მას, ნამდვილი თოფი. პატარა თითებს მაგრად უჭერდა ლულას, ღიმილით უცქეროდა მეთაურებს და თითქოთ თვალებით ამბობდა:

— შემომხედეთ, ახლა მეც თქვენსავით შემძლია ბრძოლაო!

უცებ მეთაურებში რაღაც აღშფოთებული ჩურჩული შეიქნა, ყველას სახეზე მღელვარება დაეჭყო.

შალვას გაუკვირდა და მათ თვალებს აადევნა თვალი. ლიანდაგის გადაღმა, რომელსაც პატარა ტყე ეჭრა და ბილიკი ჩაურბოდა, რაღაც გუნდი გამოჩნდა.

გუნდი უახლოვდებოდა ლიანდაგს.

— ჩვენებია, — წამოიძახა ერთმა.

— ო, რას შვრებიან, საით მიდიან! —

უთუოდ, არ იციან, რომ ლიანდაგზე ჯავშნიანი მატარებელი სდგას! ხო! ამოსწყვეტენ ყველას! — გუნდი კი თანდათან ახლოვდებოდა.

— უნდა ვაცნობოთ როგორმე, რომ შეჩერდენ, თორემ დავიღუპეთ. —

ვინ წავა! —

მეთაურებმა გადახედეს ერთმანეთს.

მართლაც და მოვალეობა მეტად მძიმე იყო. საჭირო იყო ლიანდაგზე გადასვლა, საიდანაც ჯავშნიანი მატარებლის ტვისმფრქვევლის და ზარბაზნის ტუჩები საზარლად იცქირებოდნენ. არა და გუნდი არმიელების, რომელიც ქალაქში მეორე მხრიდან შემოდიოდა, საშინელ საფრთხეში ვარდებოდა.

დაყოვნება შეუძლებელი იყო.

შეუძლებელი იყო საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრიც.

ამას გრძნობდნენ კარგად მეთაურები, ამიტომ ერთმა საჩქაროდ წამოიძახა:

— მე წავალ!

— გადაეცით, რომ შეჩერდენ, ელოდნენ ჩვენგან ნიშანს. ერთად შევეუტევთ! —

სიტყვის გათავებაც ვერ მოასწროს, რომ ვილაცამ შინელს მოსწია.

მოიხედა. წინ შალვა იღვა.

— რა გინდა! —

— მე წავალ, ძია? —

— შენ? — გაკვირვებით შეხედეს.

— ჰო, მე წავალ, მე ვიცი, მე ვიცი, მე ვიცი, ვერ შემხედვენ, უფრო გავძვრები. ვეტყვი იმათ, — ტყისკენ გაიშვირა ხელი, — რომ არ მოვიდნენ, მოკლავენ! —

— არა, პატარავ, შენ შეიძლება რამე შეგემთხვეს! —

— არა, არა! — საჩქაროდ წამოიძახა შალვამ.

მე ვიცი აი იქიდან გასავალი. ვერ შემნიშნავენ, ეს კიდეც საჭიროა, მე კი მარტო ვარ, არც დედა მყავს არც მამა, ჩემთვის სულ ერთია: მე თქვენ მიყვარხართ. —

პატარა ცისფერ თვალებში ვედრება სჩანდა.

მეთაურებმა რაღაც მოილაპარაკეს. ყოყმანობდნენ. შალვა მიხვდა.

— ძია, თქვენ ნუ გეშინიათ, მე გასავლელი ვიცი, იქიდან ხშირად ვიპარებოდი სადგურზე. როცა მატარებელი მოვიდოდა, მგზავრების ხაბაკი მიგვეკონდა და სადგურის მუშები არ გვანებებდნენ. ჩვენც იქიდან ვიპარებოდი და ვშოულობდი მუშტრებს.

— მაშ კარგი, წადი, ოღონდ ფრთხილად და ეს ქალაქი გადაეცი! —

შალვამ სიხარულით მოხვია თითები ქალაქს და გაქრა.

— მოსჩანს? —

— ჯერ არა! —

— როგორი თავდადებულია, გამბედავი! საუკეთესო მებრძოლი იქნება, როცა გაიზრდება! —



— გამოჩნდა! უკვე ლიანდაგს უახლოვდება!

— ვაი თუ ვერ გაასწროს, შიშველი ადგილია. მართლაც, შალვა, რომელსაც ამდენხანს უედელი და ბრეკი ფარავდა, ახლა ლიანდაგს უახლოვდებოდა.

მოხრილი, ხელში თავისი თოფით, მარდად
გადარბოდა ხრეშს და ბოლტებს.

ამ დროს მატარებლიდან გაისმა სროლა.

— შეამჩნიეს! წყეულები!—

შალვაშაც იგრძნო, რომ მას ესროდნენ. ის
სწრაფად ჩაიკეცა და გაილურსა.

— მოჰკლეს, მოჰკლეს!—

მოსკდა კედლიდან რამდენიმე აღელვებული
ხმა, რომელიც მსწრაფლ სიხარულით შეიცვალა.

შალვა, გველივით გაწოლი, ლიანდაგს შუა
მიცოცავდა. კიდევ გადასცა ბოლტებს, შველივით
წამოვარდა და მოკურცხლა ტყისკენ.

ორი-სამი ტყვია აედევნა უშედეგოდ.

— ვაშა, გადარჩა, გაუმარჯოს ბიჭუნას! —

დაღამდა. მოღრუბლული ცა საბანივით გადა-
ხურა სადგურს.

რამოდენიმე საათმა დაჰიმულ მოლოდინში გა-
იარა. მატარებლიდან რაღაც მოძრაობა და ხმაური
ისმოდა.

ეტყობოდა, ცდილობდნენ ლიანდაგის შეკე-
თებას.

— უკვე დროა!—

მოისმა კედლიდან ჩურჩული და გასროლილმა
სანიშნო მაშხალამ გაანათა მთელი სადგური.

ცოტა ხნის შემდეგ ნიშანს ტყიდან ნიშნითვე
უპასუხეს.

კედელთან შეიქნა მზადება. წუთში გამაყრუე-
ბელმა ვაშას ძახილმა დაჰფარა მთელი სადგური.

ჯავშნიანი მატარებელი დანებდა.

ინტერნაციონალის ხმებმა შეარხია სივრცე.

შალვა?


ის შესკუბებულიყო ბელურასავით მატარებლის
თავზე თავისი განუყრელი თოფით და კრიალა ხმას
უერთებდა სიმღერის გრიალს. მის გულში ზღვა
სიხარული იდგა. ამიერიდან ის არ ივლის ქუჩებში
მათხოვრად. ამიერიდან მას ჰყავს მშობლები.

აი ეს ათასი გული, რომელნიც სიყვარულით
შეჰყურებენ, მისი მამაა.

მათი ჭირი და ლხინი გადაიქცევა ამიერიდან
მის ჭირად და ლხინად.

ბედნიერია, ბედნიერია დღეს შალვა და ამი-
ტომ გაჰკვივის ასე ხალისით: — გაუმარჯოს ბაშენი-
კებს, გაუმარჯოს“.

.....
გავიდა წლები.
კლუბის დარბაზი საესეა.
მოუთმენლად ელიან ფარდის აწევას.
დღეს საქ. გასაბჭოების 5 წლის თავის აღსა-
ნიშნავი საღამოა.
გაიკრიალა ზარმა.
იხდება ფარდა — მუსიკა უკრავს ინტერნაცი-
ონალს. გაისმის ტაშის გრიალი.
თავმჯდომარე აცხადებს:
„საქ. გასაბჭოების დღეებზე მოგონების მოხსე-
ნებას გააკეთებს წითელი არმიის შვილი, შალვა არ-
მიელაძე.“



ვინ? შალვა! პატარა შალვა, რომელმაც ქუ-
ჩებში ხეტიალის მეტი არაფერი იცოდა? შალ-
ვა დღეს დადგება ამ დარბაზის წინაშე მოგონებით?
რა უნდა ჰქონდეს ამ პატარას მოსაგონებელი?
როგორ არა, შალვა იმ დღეების გმირი იყო,
შალვაც იბრძოდა მაშინ მათთან ერთად! სიხარულით
ცრემლი ერევა თვალეებზე; „ნუ გეშინია, პატარავ!“
ესმის უკანიდან გამამხნევებელი ჩურჩული.


არა, არა, შალვას არ ეშინია, ეს ისე, სიხა-
რულით, მოსდის!

პატარა ნაბიჯი წინ — და ვერცხლივით ხმამ გა-
იკრიალა დარბაზში.

— ამხანაგებო.

დიდხანს ლაპარაკობდა შალვა, დიდხანს, და
აღტყავებული უსმენდა დარბაზი ნორჩ გულს.

კ. ლ — ძე.





რ ა ჯ ა

(მგზავრის შთაბეჭდილებანი).

წერილი პირველი.

ჩემს ბავშვობაში მრავალჯერ მიფიქრია, რომ მენახა და შემესწავლა ჩემი ქვეყნის კუთხეები, რომლის ბუნებაც ასე მრავალფეროვანია და თანაც სილამაზით აღსავსე...

მინდორ-ველები, მთები მწვანე და მთები მუდამ თოვლიანი, ტყეები, მდინარეები, ტბები და ზღვაც, დასავლეთიდან თავისი სიდიადით გადაჭიმული, რომელსაც ძველად პონტოს ზღვას უწოდებდნენ, დღეს კი შავს, — აი ყველა ის, რითაც ამაყობს ჩვენი ქვეყანა, რითაც არის იგი მნიშვნელოვანი...



რაკველები. სოფელი გლოლა. რაჭული სახლი, ფილაქნით დაბურული.

ყველაფერი ეს ჩემში მისი დათვალიერების და შესწავლის სურვილს აღვივებდა და, მართლაც, როდესაც წამოვიზარდე, ვიმოგზაურე სხვადასხვა კუთხეებში და მოვიარე რაქაც, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო...

რაქა ტფილისიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და იქ მოგზაურობა შეიძლება რამდენიმე გზით, თუმცა ყველაზე იოლი და შეკეთებულია ოსეთის სამხედრო გზატკეცილი, რომელიც გაყვანილია მდინარე რიონის გაყოლებით ლამაზად ჩამოლაგებული მთების ძირში...

დანარჩენი გზები მისკენ მიიმართება ტყიბულიდან, საჩხერედან, შეიძლება აგრეთვე კავკაზიდანაც, მამისონის უღელტეხილზე გადმოსვლით, და აგრეთვე ლეჩხუმიდან! როგორც მთების გადმოლახვით, აგრეთვე გზატკეცილითაც...

მოგზაურობა მე პირველად ტყიბულიდან მომიხდა, სადაც დავიქირავე ცხენი და სიაშოვნებით

შევეუდექი სამოცდახუთი ვერსის მანძილს, რომელიც აერთებს ტყიბულსა და ქ. ონს.

ტყიბულის მალაროები გადავიარე, გადავუხვიე მარცხნივ და კიდევ შემომეგება ხეხილთა სურნელება. მალლით გადმოწოლილ გორაკს რომ გავცდი, დავინახე ნაქერალას მთა, რომელიც ისე იყო დაქანებული, როგორც ლომის შუბლი და ისევე იფარებოდა, როგორც ფაფარით, თუმცა აქა-იქ მოსჩანდა მისი გატიტვლებული ადგილები, კუშტად, მოწყენით გამოშქიპილი.

ეს უშველებელი მთა, გოლიათივით ამართული, ჩემს გულში რაღაც მისწრაფების მწვერვალებს ჰქმნიდა, გული რაღაც იღუმალი გრძნობებით იცვებოდა და არ კი ვიცოდი, თუ რა მინდოდა, — შეიძლება ის, რომ ჩქარა მსურდა მწვერვალზე ასვლა, მაგრამ შეიძლება ისიც, რომ შეენატროდი მის სიდიდეს, მსურდა შეემდგარიყავი მის ზურგზე და ხმამალა მეთქვა:

— აი, მაღალო მწვერვალო!.. მე შენს შუბლს მივალწიე და თავისუფლად ვსუნთქავ!..

ეს იყო ჩემი ფიქრები და გამოვერკვიე მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხენმა სიარული ნელა დაიწყო. მათრახი შემოვკარი, ავაჩქარე...

თანდათანობით ვუახლოვდებოდი მწვერვალს და საათნახევრის სიარულის შემდეგ მის წვერს მივალწიე...

გავჩერდი... შემოვბრუნდი და თვალი გადავაწვლე განვლილ გზას... მე უკვე მალლიდან დაცქეროდი ტყიბულს, სადაც დღუღდა გაცხოველებული მუშაობა.

მთების ძირში, მალაროებში, ალბად გამურული ხელებით ახმაურებდნენ შავად გადაჭიმული ქვანახშირის ფენებზე წერაქვებს, ნიჩბებს. ახლა ეს ყველაფერი არ სჩანდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ მიდამოებში ჩაბმულია მრავალი ადამიანი, რომელნიც მუშაობენ ქვარტლიან გვირაბებში... სიბნელეს შეჩვეული მათი თვალები ძალ-ღონესთან ერთად სუსტდება, იღლებს... ისინი ელიან ნათელი მზის დანახვას, იმ მზის, რომლის სხივებიც მალაროებს არ ანათებს...

— იშრომეთ, შეჰქმენით, მოიპოვეთ!.. — გავიფიქრე და ცხენი შემოვატრიალე.

რამდენიმე ათეული ნაბიჯის გავლის შემდეგ

გადავიარე ნაქერალას მთის მწვერვალი, ორი ურმის სიგანეზე და ორი კაცის სიმაღლეზე შუა გაჭრილი..

სწორედ აქ დაიწყო რაჭა, მისი საზღვარი აქ გადავლახე და აქედანვე დაიწყო ნაძვნარი, მწვანე ფარდაგივით გადაშლილი ლურჯად მოწმენდილი ცის ქვეშ.

სამი ვერსი ნაძვნარი მიხვეულ-მოხვეული გზებით ვავიარე. ეს ტყე მარჯვნივ და მარცხნივ უფრო ხშირია, ვიდრე შუაგულში. ეს იმიტომ, რომ აქ გზატკეცილია, ხეებიც განგებ არის მოჭრილი, რის გამოც ხეივანს ემსგავსება და სწორედ ხეივანივით ლამაზია...

ტყეში ხშირია ყაჩაღობა და საიმედო ადგილიც არის ყველა თავზნებლადებულისთვის. თუმცა-მრავალჯერ მათი სისხლიც უხვად დაღვრილა ..

გამოჩნდა პატარა მოსახლეობა. გზის პირას პურის საცხობია და პატარა სასადილო, მშვიერი მგზავრებისთვის საიმედო ბინა, მაგრამ ვიდრე შიგ შევიდოდი, ჩემი ყურადღება მიიპყრო ორ ადგილას და გუბებულმა წყალმა, რომელიც ისე სუფთა და დაწმენდილი იყო, რომ ბროლივით გამოკრთოდა...

იქვე ერთი მოხუცებული დოქს წყლით ავსებდა და მე რომ დამინახა, მხიარული სახით შემომამატერდა...

- გამარჯობა, მეგობარო!..
- გაგიმარჯოს. ტყიბულიდან მოდიხარტ?..
- დიახ, ტყიბულიდან, ონში მივემგზავრები...
- კეთილი. წყალს ხომ არ მიირთმევთ?..
- სიამოვნებით, მეგობარო, — ვუპასუხე და მშინვე ჩამოვხტი ცხენიდან.

მომაწოდა წყალი და დავიწყე სმა. ასეთი ცივი და სასიამოვნო წყალი იშვიათად თუ სადმე შემხვედრია. დოქი გადავეცი და შევეკითხე:

- რა ჰქვიან ამ წყალს, ძმობილო?..
- ხარისთვალა, — გულგრილად მიპასუხა რაჭველმა გლეხმა.
- ხარისთვალა?.. რატომ დაარქვეს ხარისთვალა, ვერ მეტყვიტ?..

— იმიტომ, რომ ხარის თვალის ასევე წყნარი, ღრმა და სუფთაა, და მოყვანილობაც ხარის თვალისა აქვს. აგერ ის კიდევ ძროხისთვალაა, იმიტომ რომ ის ამაზე უფრო დიდია და ღრმაც, მაშასადამე, უფრო მუქიც არის.

ეს მითხრა ნელა, დამშვიდებულად.


გამოვემშვიდობე და გავუდექი გზას... აქ უკვე სწორი მიდამო იყო; ცხენი გავატენე. თვალწინ გადამეშალა შაორის ველი, რამდენიმე ვერსის მანძილზე გადაჭიმული, მწვანე საბალახოებით დაფარული. ამ ადგილებში საძოვრებია და ძალიან ხშირად შეხედებით პატარა გოგო-ბიჭებს, სახრეთი საქონელს

რომ მიერეკებიან ტუჩებზე კმაყოფილებას დამილო გადაკრულნი.

მშვენიერია ზაფხულობით მწვანედ გადაშლილი შაორის ველი, ზამთარში კი, თეთრ ნაბადგადაფარებული, ალბად სულ სხვანაირია: არც ერთი შავი წერტილი მასზე არ მოსჩანს, გარეშემო ნაძვნარი თეთრად დაფარულია და როცა ქარი დაჰქრის, საშინელებაა...

აი ამ ველზე მომხდარა ერთი უბედური შემთხვევა:

ზამთარია. ყინვა იკბინება, მწვავე და სუსხიანი. ღრუბლიანი ცა თავის გულში ღრმად მალავს სილურჯეს და შაორის გარემო ტყეებს უერთდება ისე, რომ შეერთების ზოლიც არ მოსჩანს...



პატარა ტბა, რომელშიაც კამეჩები ბანაობენ. მამისონის სამხრეთის მხარე.

ქარი ზუზუნებს, რაინდევით დანავარდობს და ცივ ჰაერში აფრიალებულ თოვლს სვეტებად ატრიალებს... უშიშარია იგი და თავისუფალი.

მოდინ მამა და შველი... ზამთარში ნაკლები სამუშაო აქვთ და სიღარიბის გამო ქალაქად მიდიან ფულის საშოვნელად...

გაყინული თოვლი ფეხებ ქვეშ ჭრიჭინობს და მუხლებამდე იფლებიან.

— ეხ, მამაჩემო, დღეს რომ არ გამოვსულიყავით, უკეთესი იქნებოდა: ხედავ, როგორი ქარიშხალია?!


— მართლაც და რა გვეჩქარებოდა, დავრჩენილიყავით ერთი დღეც და შეიძლება გამოედარა, —

უპასუხებს მამა და სუნთქვა ეკვრის ქარის ქროლვი-საგან...

— არაფერია, მამაჩემო, ხარისთვალზე ჩავალთ და ღამეს იქ გავათენებთ.

ეს იყო სიცოცხლემოწყურებული მამა-შვილის გულსაკლავი საუბარი.

მიდიან... შუაგულ ველში შევიდნენ. გული უძგერო ველის გადავლის მოლოდინში. აქ ქარი უფრო თავისუფალია. მან გაშალა ფრთები, სახეზე თოვლი მიაყარა მამა-შვილს და ზუზუნით გაქროლდა წინ.



ს. უწერა (კურორტი).

მამა და შვილი ჩუმად მიდიან. სუნთქვა ეკვრისთ, ვეღარ ლაპარაკობენ. დროგამოშვებით გადახედავენ ერთმანეთს, ყაბალახით დაფარულნი, და კვლავ განაგრძობენ სიარულს...

მაგრამ დაჰბერა ქარმა... ყაბალახები შემოხსნა და საკუთარ ფრთებზე გააქროლა. მგზავრებს პირისახეზე თოვლი მიაყარა და სუნთქვა შეკრულნი, თავბრუდასხმულნი თოვლზე გადაწვეს... კიდევ ერთი ცდა... წამოდგომა დააპირეს. აქ კიდევ ერთხელ შემოუტია აფთარმა ქარმა და წაიზუზუნა:

— იწეკით...

ჭართლაც აღარ ამდგარან. მამა და შვილი დაახრჩო ქარმა, დაახრჩო თოვლის ნამქერმა...

ასე ხდება ხოლმე ზამთარში. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება.

ახლა კი ისე მშვენიერია, რომ ასეთ სიბოროტეს ვერავინ დააბრალებს ამ მწვანე მიდამოში... შაორს გვერდი ავუხვიე... და კვლავ გამოჩნდა სოფელი, მაგრამ არა ისეთი, როგორც ხარისთვალა, არამედ უფრო მოზრდილი და მეტად ლამაზი... მცხოვრებლები ღარიბულად არიან ჩაცმულნი და დღიურ შრომას მისდევენ...

გზაში დაახლოვებით ათი წლის ბიჭი შემომხვდა. ჯერ ცნობისმოყვარეობით შემომხვდა და შემდეგ ხალისიანად მომამახა:

— გამარჯობათ!..

— გაგიმარჯოს, — ისეთივე საქმიანი ხმით გავეცი პასუხი, როგორითაც თვითონ მომმარტა. რომ დევუკირდი რაჭველ ხალხს, დავრწმუნდი რომ აქ დიდი და პატარა ჩაბმულია შრომაში, ყველა მუშაობს სარჩო-საბადებელის მოსაპოვებლად.

— ბავშო, აბა ერთი მითხარი, რა ჰქვიათ ამ სოფელს?..

— ნიკორწმინდა გახლავთ, თქვენი ქირიმეთ...

— ნიკორწმინდა?.. კარგი სოფელი ყოფილა! სად მიდინარ აგრე გაჩქარებული?..

— შაორზე მივდივარ, ჩვენი სოფლის საქონელი საძოვრად გვყავს გაშვებული და ამაღამ მე უნდა ვუღარაჯო...

— შერე და რისგან უნდა დაითარო?..

— მგლებსაგან...

— არ გეშინია მგლებს?..

— რათ შემეშინდება, როცა ღამე ცეცხლი მექნება დანთებული, მგლებს კი მუგუზლისა ძლიერ ეშინიათ.

მე კვლავ ჩემ გზას გავეყვი...

გადავიარე რამდენიმე სოფელი, მათ შორის ხოტევიც. ამ სოფლის თავში მთის მალლობზე გაშენებულია ციხე „ხოტევის“ სახელწოდებით, რაც გამოხატავს „ხოტევი“-ს: მტრის შემოსევის დროს უკანასკნელი თავშესაფარი ციხე იყო ხოლმე და რადგანაც შიგ ხალხი ბევრი ვერ ეტეოდა, ამიტომ მეომრები თავიანთ ცოლ-შვილს გარედან შეჰყვირებდნენ „ხოტევი“-ო. რასაკვირველია, სიკვდილის შიშით დაეტეოდნენ. მას შემდეგ სოფელსაც ხოტევი დაერქვა...

აქედან ხუთი ვერსის დაცილებით დაბა ამბროლაურია, მის გვერდით იწყება ხევი და მოქშუის პატარა მდინარე კრიხულა, სოფელ კრიხის გვერდით ჩამომდინარე... იგი ქებულია კარგი კალმახებით და თვით წყალიც სასიამოვნო სასმელია...

ამბროლაურიდან უკვე მოსჩანს მდინარე რიონი, ქაფურა ტალღებით ახმაურებული და მუდამ მოჩხუბარი...

ხიდიკართან, იქ, სადაც უსულგულო გოლია-



თებივით ამართულა ტიტველი კლდეები და სადაც გაგიჟებული რიონი მრავალი წლების განმავლობაში ეხეთქება პიტალო ნაპირებს და მთის მწვერვალთან ჩამოვარდნილ უშველებელ ლოდებს,—საზღვარია ქვემო და ზემო რაჭის...

რიონს მაღლიდან დასკქერის უშველებელი, ერთმანეთისკენ გადახრალი ტიტველი კლდეები და ვიწრო ხეობას კარს ამსგავსებს. ამ ერთმანეთისკენ მაცქირალ კლდეებზე მიშენებულია ციხის მაგვარი სადარაჯოები, რომლის წინა კედლებშიც გაკეთებულია რამდენიმე პატარა ფანჯარა, როგორც გამოსახედად, აგრეთვე თოფის ლულებისათვის. საიმედო სიმაგრე იყო შემოსეული მტრისაგან დასაფარავად ძველად და ისტორიასაც ახსოვს აქ მომხდარი შეტაკებანი, ხშირად გამარჯვებით დაგვირგვინებული...

რიონის ორ ნაპირს უბრალო ხის ხედი აერთებს და ცხენმა მასზე ფეხი რომ შესდგა, ოდნავ შეჩერდა, კისერი მოიღერა და წინა ფეხები რამდენჯერმე ერთსადიმივე ადგილზე დააბაკუნა, შემდეგ კი გაბედულად გადადგა ნაბიჯი. ვიდრე ხილს გადაეცდებოდი, მაშფოთებდა და მახარებდა ის ხმაური და უხუილი, რომელიც ხილის ქვეშიდან მოის-



დიგიტალისი.



მამისონის მყინვარი. მარცხნივ ქედზე გზა მოსჩანს.

მოდა. კლდეები ბანს აძლევდა და უცნაურ გამოძახილად ჩამძახოდა ყურში.. სიხარულის ყრუანტელმა დამიარა სხეულში და მოვიწადინე უფრო ღრმად შევსულიყავი ღამაში ბუნების წიაღში. ცხენი გავაქენე.. თვალწინ წარმომიდგა მწვანე მთები, სიმშვე-

ნიერის კონცხებად ჩამოლაგებული და ხუჭუჭთმიან ლამაზ ბავშვებივით გამომცქირალი..

ცხენი გაოფლიანდა. დაიღალა. ალბად შიმშილიც საგრძნობლად აწუხებს, რომ სიარულის დროს მოუსვენრად ფრუტუნობს.

შევედი სოფელში და გადმოვხტი. ცხენმაც სიხარულით ყურები დააქვიტა, დიდი შავი თვალე-ბით ჭკვიანურად შემომხედა და როდესაც კისერზე ხელი გადავუსვი, დაიხვიხვინა...

ამ ადგილას მგზავრები ისვენებენ. მეც დასვენება დავაპირე მედლუქნე შემომეგება და ჩემი ჩამომართვა.. ღუქანში შევედი და ერთ-ერთ მაგიდას მივუჯექი..

— ამხანაგო!.. მოიტათ საცივი და თუ ხვანკარაც გაქვთ, ერთი ბოთლი წამოიძღვანიეთ..

— ხვანკარას მეტი რა გვაქვს რაქაში?.. მიპასუხა მედლუქნემ და საუზმის მოსატანად დაფათურდა...

იქვე, ხის კუნძზე, თეთრწვერა მოხუცი ჩამომჯდარიყო და კარგა მოზრდილ ყალიონს ეწეოდა. მისი თვალეები იატაკის ერთ წერტილს ჩასჩერებოდა და ფიქრებში გართული თუთუნის კვამლში ეხვეოდა. მასთან წასაუბრების სურვილი დამებადა და ღვინო რომ მომიტანეს, ერთი ჭიქა მას შევთავაზე.. მან შემატყო, რომ მე რაჭველი არ ვიყავი და ღვინის გამოსართმევად მომიახლოვდა...

— აი, ჭიქა ღვინო მიირთვიო და აქ დაბრძან-

დით, ცოტა რამ უნდა გკითხოთ, თუ არ გეწყინებათ.

— რაც გაგახარებოდეს, იგი მკითხეთ, თქვენი ჭირიმე, რისთვის მეწყინება?!. თითქმის გაკვირვებით მიპასუხა და იქვე სკამზე მიიმედ ჩამოჯდა.

— აბა, ჯერ ეს მითხარით, რა ჰქვიათ ამ სოფელს?..

— წესი ჰქვია, თქვენი ჭირიმეთ. აქ ძველად სასამართლო და საკანონმდებლო ადგილი იყო. ამიტომ წესი დაერქვა. ეპ, ჩემო შვილო, ბევრი რამ ვიცოდი ჩვენი საწყალი ხალხის ცხოვრებისა, მაგრამ სიბჭურემ გადამავიწყა.. რა უბედურება არ გამოუვლია ჩვენს მხარეს, ვინ ჩამოსთვლის, ვინ! აი, მარტო მეწყერმა რამდენი გლეხი გააუბედურა, რამდენი სოფელი წაღვია.



მამისონის გადასავალი.

— ვერ მეტყვი, თუ რატომ ხდება მეწყერი, ან ბევრია ისეთი სოფელი, სადაც მეწყერი ხდება ხოლმე?..

მთელს რაქაში ოცამდე სოფელი დაითვლება, სადაც ხშირად იცის დამეწყერვა, რაც ისეთ ზიანს აყენებს გლეხის სამოსახლოს, რომ მთლად ალატაკებს. ქვემო რაქის ზოგიერთი სოფლები, როგორც, მაგალითად: ბუგეული, აბანოეთი, მიქარწმინდა— წრეულსაც დამეწყრა; ასევე მოხდა ზემო რაქაშიც სოფლებს სამიწოში, ფარახეთში, სევაში და სხვაგან... ეს გამოიწვია ხანგრძლივმა წვიმებმა..

მეწყერი იმიტომ ხდება, რომ იმ მთების ზედაპირი, რომელზედაც გაშენებულია სოფლები, შესდგება რბილი მიწისაგან და მეორე ფენა კი თიხას წარმოადგენს. ხანგრძლივი წვიმების დროს წყალი თავისუფლად ჩადის მიწაში, რადგან რბილი ზედა-

პირი წინააღმდეგობას არ უწევს, მაგრამ ჩოქრდება, თიხიანი ფენა დახვდება, მაშინ იქ წყალი ჩოქრდება, გუბდება და თიხის მთელს ფენაზე ვრცელდება. როდესაც ბევრი წყალი დაგროვდება, მაშინ მიწის ქვეშავე ეშვება დაღმართებისაკენ და ატივტივებული ზედაპირი სწყდება მტკიცე ნიადაგს, ეშვება ძირს და თან მიაქვს მოსახლეობაც. ამას ხომ არაფერი არ ეშველება. ძალიან ხშირად გადასახლებულან გლეხები სხვადასხვა ადგილებზე, მაგრამ სადა გვაქვს იმდენი ადგილი-მამული, რომ შეიძლებოდეს საცხოვრებელი მიწაწყლის გამოცვლა...

სთქვა ეს მოხუცმა და მწუხარებით ამოიხირა.

— წარსულიდან მნიშვნელოვანი არაფერი გახსოვსა? — ცნობისმოყვარეობით შევეკითხე და თვლებში მივატყერდი.

— მახსოვს. ახალთაობის დროს მეფის ყაზახებმა გენერალი ალიხანოვის მეთაურობით ჩვენი სოფლები რომ გადასწვეს. რა უბედურება დატრიალდა მაშინ! დღისით და ღამით განათებული იყო არც მარცხსახლებზე წაკიდებული ცეცხლის სინათლისაგან. ბავშვები წივილ-კივილით დედის კალთებს ეკვროდნენ, მაგრამ მათაც არ შეეძლოთ დაეხსნათ ცხენოსანი ყაზახების მათრახებისაგან. სახლებში ვერავინ რჩებოდა, რადგან ყველას აწიოკებდნენ. დიდი და პატარა მთებში იხიზნებოდა და იქ ეძებდა საშველს. აქა-იქ ჩვენები შურსაც იძიებდნენ, ყაზახებს ჰკლავდნენ, მაგრამ გადაბუგულ ჭირნახულს ვერაფერი შველოდა,

სთქვა ეს და თავი ძირს ჩაღუნა. სიჩუმე ჩამოვარდა. მეც ხმას არ ვიღებდი და როდესაც სიჩუმე მომწყინდა, კვლავ შევეკითხე:


— კიდევ, კიდევ რა იცით?..

— შვილო, ჩვენ კარგი არაფერი არ ვიცით. ყველაფერი ტანჯვით არის სავსე. საქართველოს მეფეების დროს სისხლის ღვრაში ვიყავით, რუსეთის მეფემ მთლად გაგვანადგურა და ახლა როგორ წავა საქმე, ვინ იცის!

— კარგად წავა საქმე, ნუ გეშინიათ. რამდენსაც იშრომებ, იმდენს შეირგებ, ლუკმას არავინ წაგართმევს. ჩვენი მთავრობა მუშურ-გლეხურია და საწყალი ხალხისთვის ზრუნავს.

(დასასრული იქნება)

ე. პოლუმორდვინოვი.



რ ე მ ე ლ ა ს

(სურათები)

წინათქმა: (ფარდის წინ გამოვა და იტყვის, ან კულისებში კითხულობს) დღევანდელი დღე, 18 მარტი, პარიზის კომუნის გამოცხადების დღე, საბჭოთა კავშირში გამოცხადებულია რემედასის დღედ...

რა არის რემედასი?

რემედასი არის: **რევოლუციონურ მებრძოლთა დამხმარე საზოგადოების** პირველი ორ-ორი ასოსაგან შემდგარი შემოკლებითი სახელი...

რემედასი სადაა?

რემედასია მხოლოდ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, მას აქვს თავისი განყოფილებები ყველა სხვა ქვეყნებში...

რა არის მისი მიზანი?

მისი მიზანია: დაეხმაროს როგორც მორალურად, ისე, უმთავრესად, რეალურად, ბურჟუაზიულ ციხეებში გამომწყვდეულ რევოლუციონერებს და მათს ოჯახებს...

ვისგან შესდგება ციხეებში მყოფ რევოლუციონერთა რაზმები?

ესენი არიან: მუშები, გლეხები, მუშა-ქალები და გლეხი-ქალები; ახალგაზრდა კომკავშირელები და პიონერი ბავშვები...

ისინი სასტიკად იტანჯებიან ციხეებში და საკნების სარკმლებიდან ხელგამოწვდილნი ითხოვენ შევლას.

აი ნიმუშიც...

(ფარდა აიწვევა: სცენა — ციხეს გარეთა კედელი ფანჯრით. შიგნიდან მომდგარია ტუსადი, ერთი ხელით რკინის ხარხაზზე მობლაუჭებული, მეორე ხელით წითელ ხელსახოცს აფრიალებს... წინ დარაჯი სდგას თოფით და არ უშვებს ახლოს მის ცოლ-შვილს; ცოლი დაჩოქილია, ორი ბავში ხელმოხვეული ჰყავს; შორს ბურჟუა სდგას, მალლობზე, ფაშისტის ნიშნით, და იცინის...)

რევოლუციონერი: (ამბობს, შეიძლება სიღერითაც) ძვირფასო ძებო, —
ო, მინდა მე დახმარება;
თორემ, იცოდეთ, ამ ციხეში უთუოდ მელის დასამარება...

ქალი: (ამბობს, ან სიმღერით)
ქმარი ციხეში ზის და

ოჯახს სტანჯავს შიმშილი;
ო, ვით გადავარჩინო
სიკვდილს ეს ორი შვილი...

ორივე ბავში: (ამბობენ, ან სიმღერით)
საყვარელო მშობლებო!
თუმც ვიტანჯებით ყველა,
მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ,
ძმებისგან გველის შეველა...

ბურჟუა-ფაშისტი: ხა! ხა! ხა!

ოთხივე ერთად: (ამბობენ, ან სიმღერით)
დიდი კავშირის მშრომელო ხალხო,
გამოგვიწოდე ეგ ხელი რკინის,
თორემ დაგვაზრჩო ბურჟუაზიამ,
აჰა, შეხედეთ, როგორ დაგვცინის!
(ყველა ხელს გამოიწვდის)

ფარდა

წინათქმა: და იცით, ვისგან ელიან შევლას? ჩვენგან.

ჩვენ ჩამოვაგდეთ მეფე, დავამარცხეთ ბურჟუაზია და ოქტომბრის ძღვევამოსილი რევოლუციის ყიჟინით დავაგვირგვინეთ საყვარელი თავისუფლება...

ჩვენში ზემობს შრომის მეუფება, რომელსაც იცავენ ყოველთვის გამარჯვებული წითელი ჯარი და მუშები. გლეხები, მუშა-ქალები, გლეხი-ქალები მშვიდობიანად განაგრძობენ წარმოების აღორძინებას, მეურნეობის აყვავებას; ახალგაზრდა კომკავშირელები იძენენ ცოდნას, ირაზმებიან, რომ ჩადგენ უფროს მებრძოლთა ნაცვლად, პიონერები, ბავშვები სწავლობენ სინათლის ჩირაღდნის აღზე; ჩვენი დიადი კომუნის ურჩ ბასტიონზე ამაყად ფრიალებს წითელი დროშა, რომლის სისხლისფერ კალთებზეც მზის სხივთა აელვარებით ბრწყინავს შრომის სიმბოლო: ჩაქუჩნამგალი, ხუთქიმიანი ვარსკვლავით...

მაგრამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მშრომელი ხალხი ისევ იტანჯება კაპიტალიზმის მძიმე უღელ ქვეშ; ისინი იბრძვიან, რომ ჩვენსავით დაამყარონ იქ მშრომელთა თავისუფალი ქვეყანა, ქვეყანა, სადაც მუშები და გლეხები იქნებიან ხელისუფლების სათავეში. ახლა ისინი უღონონი არიან მიაღწიონ მიზანს ჩვენდა დაუხმა-

რებლად; მათ ათიათასობით ხერცენ, ახრ-
ჩობენ. ციხეებში ალპობენ...

აი ყოველდღიური სურათები ბურჟუა-
ზიულ ქვეყნებში...

(ფარდა აიხდება. სცენა—ციხის წინ
ქუჩა, ხალხი: კაცები, ქალები, ბავშვები გა-
ივლიან წითელი დროშებით, მღერიან;
ტუსალი ისევ იყურება, დარაჯი კიდევ
სდგას, ბურჟუა მალლით დასცინის)

ხალხი: (იმღერის)

ძმანო, წინ, თამამად, იარ,—
აღეშართოთ მრისხანე ნება;
რევოლუციის ყიჟინით
ავქარგოთ თავისუფლება...

1-ლი ხმა: მოვეციოთ პური!

მე-2 ხმა: სამუშაო!..

მე-3 ხმა: თავისუფლება!..

ბურჟუა: ინებეთ!

(გაისმის სროლა, მრავალი ეცემა, გაი-
სმის კვნესა, ხმაური, ბურჟუა-ფაშისტ-
იციხის)

ხა! ხა! ხა!

რევოლუციონერი: (სარკმლიდან იძახის)

ო, ჯალათებო! სისხლის მსმელებო!

მალე დავიღწეთ ხუნდებს ხელგებზე
და გაგსრესთ ყველას, ხალხი მზავრელნო,
ცეცხლში დაგბუგავთ ბრძოლის ველებზე!..

ფარდა

წინათქმა: და ეს, იცით, საყვარელო პატარა მე-
გობრებო, როდის მოხდება?

მაშინ, როდესაც ყველა თქვენგანი გაი-
ღებს თავის წვლილს მათ დასახმარებლად,
როდესაც დააარსებთ რემედასის უჯრე-
დებს და ყველანი იქნებით წევრები ისევე,
როგორც თქვენი მამები, დედები, უფ-
როსი დები, ძმები სოფლებსა და ქალა-
ქებში, რომელთა დახმარება უადვილებს
ბრძოლის უცხოეთის დატანჯულ რევო-
ლუციონერებს; შორს არაა ის დრო, რო-
დესაც გაიმარჯვებენ ჩვენი მოძმენიც და
თქვენტოლა თავის ბავშვებს აღზრდიან თა-
ვისუფლების დამამშვენებლად, ბურჟუაზი-
ული ქვეყნების ნანგრევებზე შეჭმნიან,
ჩვენსავით, შრომის მეუფების ნებას, თა-
ვისუფლების ჰიმნით...

აი ასე...

(ფარდა აიხდება. კვლავ ქუჩა, ციხე, რო-
მელსაც ხალხი მისევია და ანგრევს, რე-
ვოლუციონერს ათავისუფლებენ, ხელში
აიყვანენ; ბურჟუა და მისი დამქაში და-

რაჯი ძირს ჰყრიან, ხალხი უფრო უფლები
მათზე შემდგარა. გაისმის ყიჟინი-
მღერის)

1-ლი ხმა: გაუმარჯოს თავისუფლებას!..

მე-2 ხმა: ვაშა ხალხს!..

მე-3 ხმა: სალამი წითელ მზეს!..

ყველა: (მღერიან)

ჩვენ უკვე გავიმარჯვეთ,—
მტრებს ცეცხლი ეკიდება;
შევეუტიეთ მათ მარჯვეთ,—
მუშას და გლეხს ღიდება!..

საყვარელ დროშის კალთას
ჰკოცნის წითლად მნათი მზე;
მოდმეთ ხელს ვულეწთ სალტას,
ვიწვევთ ნეტარ ნადიმზე!..

ძველ ნანგრევზე შევენებად
გამარჯვება გრიალებს;
შზად ვართ ახლის შენებად,
მტერი კვდება, ღრიალებს!..

ფარდა.

წინათქმა: და ამის შემდეგ შეიქნება მსოფლიო
ღიადი კომუნა...

მაშინ, აი, რა იქნება...

(ფარდა აიხდება. მალლობი ადგილი,
რომლის თავზე მოსჩანს ჩაქუჩ-ნამგალი წი-
თელი ვარსკვლავით და წარწერა: „მსოფ-
ლიო კომუნა“. დროშების ტყეები; მა-
ლილიდან დაბლა, ორივე მხრით, ნახევარ
რკალად ჩამომწკრივებული არიან ყველა
ქვეყნის მშრომელნი, კაცები, ქალები,
მლიმარე სახეებით, ხელი-ხელჩაკიდებულ-
ნი. ზევიდან ყვავილები სცვივა, მღერიან)

კაცები: (მღერიან) ღიად კომუნას ვაშენებთ
ზევით...

ქალები: (მღერიან) ახალ მსოფლიოს ვამშენებთ
ძლევიტ...

ახალგაზრდობა (მღერის) და ყველგან, სიამით, ნე-
ტარად
ფერენტ...

ბავშვები: (მღერიან) თავისუფლებას ნექტარად
ვფენტ...

ყველა: (ერთად მღერიან)
ო, ჩვენთან ერთად ხარობს ბუნება,—
და გამარჯვებით ყველას ვუწვდით ხელს;
სიყვარულის თქმა გვესალბუნება,—
და წითელ ბანტად მზე გვებმის ჩვენ ყელს!..
(მუსიკა უკრავს ინტერნაციონალის ჰიმნს).

ფარდა



ს. ჯანაშვილი ახ. ლენინური კომკავშირის მერვე ყრილობის დელეგატები. ყრილობა შესდგა კ. ტფილისში 1926 წლის 21 თებერვალს.

ბიოგრაფიული
საქართველოს

ქალი გაგარჯვებული.

(8 მარტი).

ასე მგონია, შენს თვალებში
 ცეცხლი ენთება,
 როცა სახეზე სიხარულის
 ვხედავ ნაკვალევს.
 ფიქრი წარსულზე უნებურად
 გადამეშლება
 და გავიხსენებ მრავალ წლობით
 მკლავებს ნაწლავებს...
 სუყველაფერი
 შენს სახეზე დაწერილია:
 ბრძოლის ხალისი,
 გამეტება და სიყვარული,
 მოხვეჭილ სახელს ამზიურებ
 ხალხის ალერსში,
 და შენს დობილებს გადაჰყურებ
 გამოდარული...
 ჩამოგეშალა ეგ კავები
 დროშის მაგვარი,
 დადლილ თითებით
 ჩამოჰქარგე თავისუფლება,
 ყველა ბრძოლებში
 იყავ მხნე და დაუდგარი,
 და ეგ ხალისი არასოდეს
 არ გაგიქრება...
 შრომამ აღგზარდა
 ხალხის გულში,
 ხალხის გულისთვის,
 და გამეტებით
 გამოჰყევი ქუჩის მედროშეს,
 მზემ გადმოგხედა მწვერვალიდან,
 შენ რომ ელოდი,
 შენ რომ ელოდი
 გამარჯვების ამოკენსებით!..
 ქარმა დაფლითა
 შენი დროშის გამოქროლება,
 ქარმა იცინა შენთან ერთად
 ცეცხლის თარეშში,
 გამეტებაში შენ ვერვინ
 ვერ დაგეტოლება,
 როს შეიყვარე
 ტყვიის კენესა,
 ტყვიის ალერსი...
 დღეს კი წარსული გადინაცრა
 ტანჯვასთან ერთად,
 და შენ მოსჩანხარ
 ძველ სევდებით დაუფარავი.

გულში გენთება საზეიმო
 ღრმა სიხარული,
 და ხალხში რჩება
 სახე შენი, შეუდარავი...
 ახლა გიცქერ და
 ვხედავ: თვალში ცეცხლი გენთება,
 სახის რუქაზე
 სიხარულის ვხედავ ნაკვალევს...
 ფიქრი წარსულზე
 უნებურად გადამეშლება,
 როცა ვიგონებ
 ძველ სახეებს,
 ტანჯულს, ნაწვალებს.

ე. პოლუმორდვინოვი.

გუშა-ქალკის დღე.

დედამიწის თვითოეულ კუთხეში ყოველწლიუ-
 რად აღნიშნავენ ამ დღეს არა მარტო ქალები, არა-
 მედ ამ დღეს უქმობენ და ანსხვავებენ სხვა დღისა-
 გან შეგნებული მუშები და ახალგაზრდა პიონერე-
 ბიც. ჩვენ ყველანაშე უკეთ ვიცით, თუ რა საშინელ
 პირობებში უხდებოდათ იმ კომკავშირელებს მუშაობა,
 რომელთა დედებს ჯერ კიდევ ვერ მოუშორებიათ
 თავიდან ძველი ჩვეულებები.
 ასეთი დედა არ უშვებს თავის შვილს პიონე-
 რის კლუბში, არ აძლევს მას კომკავშირში ჩაწერის
 საშუალებას. აქ არაფერი არ არის გასაკვირი: ათა-
 სი წლობით იზრდებოდა ქალი ამ პირობებში. თან-
 დათან უვითარდებოდა და ძვალ-რბილში უჯდებო-
 და მას ეს ძველი შეხედულებანი. ათასი წლობით მას
 უცქერდენ, როგორც კაცის მონას; მას არ აძლევ-
 დენ სწავლა-განვითარების საშუალებას, ამიტომ 8
 მარტი ის დღეა, როცა ქალი ითავისუფლებს თავს
 ამ მონობისაგან, შეუპოვრად ებრძვის ძველ შეხე-
 დულებებს და დგება კომუნისტური პარტიის რიგებ-
 ში, 8 მარტის ისტორიის ცოდნა ყველა ჩვენთაგანის-
 თვის აუცილებელია. 1910 წელს საერთაშორისო
 კონფერენციაზე კოპენჰაგენში, დანიის სატახტო ქა-
 ლაქში, დადგენილებისამებრ უნდა ეუქმათ ეს დღე.
 ქალთა გათავისუფლების ძველმა ბელადმა ქალ-
 მა კლარა ცეტკინამ წამოაყენა ეს დღე უქმედ, მი-
 ტომ რომ 1910 წლის 8 მარტს ამერიკის მუშა-ქა-
 ლებმა პირველად მოითხოვეს მთელს მსოფლიოში
 მამაკაცებთან გათანასწოლება ამორჩევის უფლებებში.
 პირველად 8 მარტი ეუქმეს 1911 წელს მხოლოდ
 ზოგიერთ ქვეყნებში. ბურჟუაზია განრისხდა, როცა



დინახა მუშა ქალების გრანდიოზული დემონსტრაცია ავსტრიასა და გერმანიაში. საქმე პოლიციისა და დემონსტრატ ქალთა შეტაკებამდისაც კი მივიდა. 1913 წელს რუსეთში ქალებმა კალაშნიკოვის ბირჟაზე მოაწყვეს მიტინგი, რომელსაც თან მოჰყვა დატუსაღება და გადასახლება. 1914 წელს ქალები აწყობდნენ მთელ რიგ მოსამზადებელ კრებას, მაგრამ მეფის



კლარა კუტინა

პოლიციისაგან ისინი საშინელ დევნას განიცდიდნენ. იჭერდნენ ორგანიზატორებს, ატუსაღებდნენ და ხშირად ასახლებდნენ კიდევ. 1917 წელი იყო შიმშილის წელი. მუშებისა და გლეხებისათვის დადგა ისტორიული დღე, როდესაც ქალებს მიეცათ საშუალება, გამოსულიყვნენ 23 თებერვალს ლენინგრადში, მოეთხოვათ პური თავიანთი ბავშებისათვის, მოეთხოვათ აგრეთვე თავიანთი ქმრების, ძმების და მამების დაბრუნება ომიდან. ამ დღიდან იწყება თებერვლის და მარტის რევოლუციები.

საბჭოთა რუსეთში 1918—1919 წლებში ქალთა დღე დიდი ზეიმით იქნა ჩატარებული შემდეგი ლოზუნგით: „გამაგრება წითელი ფრონტისა მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ“. 1920 წლის 8 მარტს მუშა-ქალები მოუწოდებდნენ თავიანთ ამხანაგებს და ყველა მშრომელ ქალებს კომინტერნის ირგვლივ გაერთიანებისაკენ. 1921—22 წელში, როდესაც საშინელ ბრძოლას აწარმოებდა მოსახლეობა გვალვებთან, 8 მარტის დღე გამოდიოდა ლოზუნგით და მოუწოდებდა ყველას კომპარტიის და პროფკავშირის ირგვლივ გაერთიანებისაკენ. 1922 წლის „საერთაშორისო დღის“ ლოზუნგია: 1. მთლიანი მუშათა ფრონტი, 2. გაუმჯობესება მშრომელ-ქალთა მდგომარეობისა

სასადილოების, სამრეცხაოების და სხვა მსგავსი მოწყობის გზით, რომელთაც ექნებოდათ საინტერესოები ხასიათი. თანამედროვე მშრომელ-ქალთა ლოზუნგია: დადგენ ლენინიზმის დროშის ქვეშ და მთელი თავისი ძალ-ღონით ეცადონ ილიჩის ანდერძის შესრულებას. ბევრ რამეში შეუძლია ახალგაზრდა პიონერს. დაეხმაროს ოჯახის დედას, დაარწმუნოს იგი, რომ მისთვის აუცილებლად საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა, რის გამოც მან უნდა იაროს კურსებზე. როცა დედა შეიგნებს ყოველივე ამას, ის არათუ დაუშლის თავის ახალგაზრდა შვილს კომკავშირში ჩაწერას, პიონერთა კლუბში წასვლას, არამედ თვითონაც მიიღებს მონაწილეობას შვილებთან ერთად მუშაობაში. მაშ გახსოვდესთ, ახალგაზრდებო, თქვენი მოვალეობა, დაეხმარეთ თქვენს დედებს, ესაუბრეთ მათ და დაუმტკიცეთ, რომ საჭიროა დედა-შვილი ხელი-ხელჩაკიდებულნი წავიდნენ ბრწყინვალე მომავლისაკენ.

მ. არვ.

როგორ მზადდება ფანქარი?

დილით, როდესაც მაგიდასთან მჯდომი ვასო გულმოდგინედ ხატავდა რაღაცას, კარების ზარის წკარუნი გაისმა.

მოვიდა ძია მიხეილი.

— ვასოს გამარჯობა! შენ წსაყვანად მოვედი: გინდა ფანქრის ქარხანაში წავიდეთ? ვნახოთ, როგორ ამზადებენ ფანქრებს.

— რა თქმა უნდა, მინდა, — მიუგო ვასომ და ჩასაცმელად გაექანა.


რამოდენიმე წუთის შემდეგ ვასო და ძია მიხეილი უკვე ტრამვაის რონოდაში ისხდნენ; რონოდა მხიარული რაწყუნით მიაქანებდა მათ კ. ლიბკნეხტის სახელობის ფანქრების ქარხნისაკენ.

სიჩუმე ძიამ დაარღვია:

ქარხანამდის გვარიანი მანძილია და მოდი, ზოგ რასმეს გიამბობ ფანქრის შესახებ.

ჯიბიდან ჩვეულებრივი ფანქარი „ფაბერ № 2“ ამოიღო.

— ხომ ხედავ, ფანქარი ორი ნაწილისაგან შესდგება: წიფხი, რომელიც ხატვის და წერის დროს ხშირად გემტვრევა, და ხე, რომელშიც ეს წიფხია მოთავსებული. წიფხი ეგრეთწოდებული წერნახმისაგან (გრანუიტისგან) კეთდება.



წერნახში მინერალია, რომელიც ბუნებაში ხან ერთიანად გვხვდება, ხან ცალცალკე ფენებად ზოგ ქვის ჯიშებს შორის. ქიმიური შემადგენლობით წერნახში ქვანახშირს ჰგავს, ქვანახშირიდან მისი ხელოვნურად მიღებაც კი შეიძლება. წერნახშის ფანქრებისათვის გამოყენება ჯერ კიდევ მე-XVI-ე საუკუნეში დაიწყო; მანამდის კი ფანქრებისთვის სხვა მასალას ხმარობდნენ: ტყვიის, ან ტყვიის და კალის შენადნს.

პირველად კუმბერლანდში (ინგლისში) აღმოაჩინეს საუკეთესო თვისების წერნახშის უმდიდრესი ბუდობები; ეს 1664 წელს მოხდა; ერთი წლის შემდეგ ინგლისური წერნახშის ფანქრები უკვე ბაზარზეც გამოვიდა. კუმბერლანდის საუკეთესო წერნახშის წყალობით ეს ფანქრები სულ უბრალოდ მზადდებოდა: მიწიდან ამოზიდულ წერნახშის ნაქრებს პატარ-პატარა ძელებად ხერხავდნენ და ხის გარსში ათავსებდნენ.

სანამ კუმბერლანდის ბუდობები გამოიღეოდა, წერნახშის ფანქრების დამზადებაში ინგლისს ეკუთვნოდა პირველობა; ამავე ხანებში წერნახში ევროპის სხვა ადგილებშიც აღმოაჩინეს: გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში; აგრეთვე კუნძულ ცეილონზე, კალიფორნიაში და ავსტრალიაში.

მაგრამ უმდიდრესი მადანი აღმოაჩინა ვაქარმა ალიბერმა ციმბირში, ალტაის მთებში, მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში. ამ ბუდობს ახლაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იქ ძალიან მდიდარი მარაგია და წერნახშიც საუკეთესო თვისებისაა.


უფრო გვიან წერნახში ციმბირის სხვა ადგილსაც აღმოჩნდა, მდინარე მცირე ტუნგუსკის ნაპირებზე, აგრეთვე ფინეთში.



სურ. 2. ცილინდრიული საქაჩავი.

ამრიგად, ფანქარი, რომლითაც **ქვემოთხსენილი** წერნახშისაგან მზადდება. **სიზლიროთქვე**

ქარხანაში წერნახშს ფხვნილის სახით ან ვეებერთელა ნატეხებად იღებენ; ამ ფხვნილის თუ ნატეხების ფანქრის მრგვალ და წვრილ წიფხებად გადასაქცევად მათი მრავალ მანქანაში გატარება საჭიროა.



სურ. 1. წისქვილი, რომელიც ხეხავს გრაფიტს.


— „ზაცვა“... ვაისმა კონდუქტორის ბოხი ხმაა — აბა, ვასო, მივედით, ადე, უნდა ჩამოვიდეთ. რონოლიდან ჩამოვიდნენ და ფანქრის ქარხნისაკენ გაემშურნენ. აი, ქარხანაც.

— ზოგ მანქანებს გაჩვენებ და ყველაფერს გაიმბობ, — უთხრა ვასოს ბიძიამ. — ამ ქარხანაში წერნახში უკვე მზა ფხვნილის სახით მოდის. ფხვნილს თიხა უნდა მიემატოს. საამასოდ თიხას ჯერ ხის ქურჭელში წყალს ასხამენ და ურევვენ, რომ დაიწმინდოს: მღვრევის შემდეგ თიხა ქურჭლის ძირზე ეშვება, ღვრევი და ნარევი კი, როგორც უფრო მსუბუქი, ზევით ამოტივტივდება; ასე მღვრიე წყლის გადაწურვის შემდეგ წმინდა თიხა რჩება. დამუშავებულ თიხას წერნახშში გაურევვენ და ნარევს განსაკუთრებულ მანქანებში სრესენ; ამ მანქანებს ზოგან, მსგავსებით, დოლაბებს ეძახიან.

აი, დოლაბებიც. ხომ ხედავ, მას ქვის ორი თვალი აქვს; თვლები მძიმედ ტრიალებს და წერნახშის მასას სრესს, შემდეგ ეს შავი ფაფის მსგავსი მასა ღარით ქვეშ მოწვეთავს.

სრესვა 10-12 დღე გრძელდება. რაც უფრო დიდხანს ისრისება ნარევი, მით უფრო უკეთესი თვისების გამოდის მანქანების გული.


დასრესილ მასას ტომრებში ათავსებენ და ე.წ. „ფილტრო-წნეხებით“ სწნეხავენ, რომ ზედმეტი წყალი გამოაცალონ. დაწნეხილი მასის ტომრების ყალიბის ნაქრებს განსაკუთრებულ ოთახებში მოწყობილ თაროებზე აშრობენ; ამ ოთახებში მუდამ მაღალი ტემპერატურაა.



გამშრალ ნაჭრებს მშრალ და თბილ სარდაფებში ინახავენ, სანამ დასჭირდებოდესთ.

როგორღა მზადდება თვით წიფხოები?

ამისთვის წერნახშის გამშრალ ნაჭრებს ასველებენ და ისე ფქვავენ, შემდეგ ცილინდრიულ საქაჩავში ათავსებენ. აი, ეს წნეხიც.



სურ. 3. წერნახშის გამოსაწვავი ლუმელი.

საქაჩავში მოთავსებულ კომისებურ მასას ზევიდან დიდი ძალა აწვება, რის გამო ის საქაჩავის ძირში მდებარე ნახვლეტებიდან ქვეშ გამოდის წვრილ-წვრილი ჭიებივით, აქ ამ ჭიებს ოსტატი სწორ დაფას უხვედრებს და ისინი ზედ იწყობა.

როცა წიფხოები ცოტა შეშრება დაფაზე, ოსტატი დაკლაკნულ ბოლოებს უსწორებს და ფანქრების სიგრძე ნაწილებად სჭრის.

შემდეგ ჯერ კიდევ რბილი, ლამი წერნახშის წიფხოები სპეციალურ საშრობ საკნებში გადააქვთ, სადაც ტემპერატურა მუდამ მაღალია — 75—80 გრადუსამდე. აქ გაშრობის შემდეგ წიფხოები უნდა გამოიწვას. ამისთვის მათ თიხის ან რკინის დახურული ქოთნებში ათავსებენ; ქოთნებს თიხით შელესავენ, დახურულ ლუმელებში გამოსწვავენ 120-გრადუსიან სიცხეში; ამ ლუმელებში ჰაერს არა აქვს შესაძალი.

აი, ეს ლუმელიც, ვასო, შეხე, ქვეშ, იატაკზე კი გამოსაწვავად და მზადებული ქოთნები აწყვია.

— ძია, რა საჭიროა, რომ გამოწვის დროს ლუმელში ჰაერი არ შევიდეს? ჰკითხა ვასომ.

— თუ ჰაერი შევა, წიფხოები დაიწვება, უჭაეროდ კი წვა არ მოხდება; განა ეს არ იცი?

— ეხლა მივხვდი, — მიუგო ვასომ.

— გამომწვარი წერნახშის წიფხოები მეტად მაგრდება და სახმარებლად უვარგისია. დასარბილებ-

ლად მათ ცვილის, ზეთის და სტეარინის ნარევი ხარშავენ.

აი, ამდენი არევის შემდეგ მიიღებენ ფანქრისაგან საჭირო წიფხოს, რომელსაც ხის გარსში ათავსებენ.


ხეს კი სხვადასხვა ჯიშისას ხმარობენ: დაბალი ხარისხის ფანქრებისათვის ნაძვს ან ცაცხვს, უკეთესებისათვის — კვიპაროზს ან სოქს. ამ ქარხანაში ცაცხვს ხმარობენ, რადგანაც აქ ახლა ხის უკეთესი ჯიშები არ მოიპოვება, უწინ კი ამერიკიდან სოქს ვიღებდით (კანადიდან). მაგრამ 1923 წელში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თურქესტანიდან იქაური სოქსის ნიმუში გამოგზავნეს.

ეს სოქი თვისებით კანადის სოქზე უკეთესია; აქამდის ის გამოუყენებელი იყო და ნახშირად იწვებოდა, ახლა კი მას ფანქრებისთვის გამოიყენებენ; გარდა ამისა, სახლვარგარეთაც გაიტანენ. ჯერ კი, როგორც ვთქვი, აქ ცაცხვს ხმარობენ.

ხეს ჯერ მოზრდილ დაფებად ხერხავენ მანქანებით, შემდეგ უფრო პატარა სიბრტყის, 6 ფანქრის ოდენა, ოთხკუთხედად.

— წავიდეთ სახერხ განყოფილებაში, მანქანები ვნახოთ.

— აი ეს — „სახერხი ჩარჩო“, რომელიც ცაცხვის მორს ერთბაშად ხერხავს რამოდენიმე დაფად იქეთ კი სხვა მანქანებია, ვიწრო დაფებს რომ ამზადებენ. როცა დაფა უკანასკნელ მანქანას გაივლის, ე. წ. „ფრეზ“-ის დაზგაზე მიდის; ეს დაზგა დაფაზე 6 ვერტიკალურ, ღარისებურ ხაზს აკეთებს,



სურ. 4. სახერხი ჩარჩო.

რომლებშიაც შემდეგ...


— წერნახშის წიფხო უნდა ჩასდვან; არა?

— ღიახ, ჩემო ვასო, მაგრამ წიფხოს ჩადებამდე

ამ დაფამ საწებავი განყოფილება უნდა გაიაროს. აქ განსაკუთრებული მანქანა დაფების ზედაპირზე წებოს უსვამს; ახლა დაფა გრძელ მაგიდაზე გადადის; აქ მუშა-ქალები სხედან, დაფების ღარებში წითხობებს აწყობენ და ზევიდან ისეთსავე დაფებს აფარებენ. თითოეულ წყვილში 6 წითხობა. წყვილ-წყვილად შეწებილი დაფები საშალაშინო დაზგაზე გადააქვთ, სადაც მათ აშალაშინებენ და შემდეგ ექვსად სჭრიან.

ახლა ფანქარიც მზადაა, მხოლოდ ულამაზოა.

მან გასალამაზებლად მანქანების მთელი რიგი უნდა გაიაროს: საყიმირი, მლიბავი და სხვ.



სურ. 5. გასაპრიალებელი მანქანა.

როცა ფანქრები სულ მზად არის, მათ თორმეტ-თორმეტად შეკრავენ; შემდეგ გროსებად და საწყობებში გზავნიან.

ეს ქარხანა ახლა თვეში 20.000 გროსამდე ფანქარს ამზადებს, ე. ი. 2.880.000 ცალს, სხვადასხვა ხარისხისას, წინეთ კი მხოლოდ 9.000 ამზადებდა.

-- ეს მითხარი, ძია, რათ არის პირველი ნომე-

რის ფანქარი მესამე ნომერზე რბილი, მეორეზე ვასო.

— მეც ეს უნდა ამეხსნა ახლა შენთვის. ფანქრის სიმუქე და სიმაგრე შემდეგ მიზეზებზეა დამოკიდებული: წერნახშის ხარისხზე, დაწნეხილი მასის სარდაფში დაყრის ხანგრძლივობაზე, თიხის და წერნახშის რაოდენობაზე ნარევიში, გამოწვის ტემპერატურაზე და ხანგრძლივობაზე. სიმაგრის ხარისხი ფანქარზევე ინიშნება. ყოველ ფანქარზე აწერია ნომერი ან ასო „H“, „F“, და „B“. № 1—რბილი ფანქარია, № 3—მაგარი, როგორც შენც შეგინიშნავს, „F“—საშუალო სიბრძლისა; ძალიან რბილი ფანქრები ასო „B“ ინიშნება.

— ქიმიური და ფერადი ფანქრები როგორღა მზადდება?—ჩაფიქრების შემდეგ იკითხა ვასომ.

— უჰ, რა ცნობისმოყვარე ხარ, ყველაფერი უნდა ვაიგო?—ღიმილით უთხრა ბიძამ.—კარგი, გიამბობ ამასაც.


— ქიმიური ფანქრები განსაკუთრებული ნარევიდან მზადდება. ამ ნარევიში შედის ტალკი, გლიცერინის საპონი, ე. წ. „ანილინის“ იისფერი საღებავი და ძმრის ესენცია. ეს ნარევი ძალიან დიდხანს იხარშება რვეით, შემდეგ კი ისეთივე გზას გაივლის, რაგორც უბრალო ნარევი, მხოლოდ არ გამოიწვის.

ფერადი ფანქრებისთვის კი განსაკუთრებულ თიხას, „კოლინს“ ხმარობენ, შიგ სხვადასხვა საღებავს ურევენ.

ასეთია ფანქრების დამზადების ამბავი.

ხომ ხედავ, რამდენი შრომა, რამდენი მუშახელია საჭირო წერნახშის და ხის დასამუშავებლად და ამ, პირველი შეხედვით მარტივი, ფანქრის მისაღებად!

3. 8.





ლევ გუმილავსკი

გამონათგის სასაფლაო

IV მამონტების სასაფლაო

უცებ გამოზაფხულდა. სითბოს არც ქარი, არც ღრუბლები არ აფერხებდა და თოვლი ნაკადულე-ბად ჩარეკა ტბებსა და ქაობებში. ატალახებული მოწითლო ტუნდრა გატიტვლდა და თითქოს ირმის სხეულზე ღერიოო, აქა-იქ ნაკუწ-ნაკუწად მოეფინა ზედ მწვანე ბალახი.

კოლოები და ქინკლები ისე ადიოდნენ დედამიწიდან, თითქოს იაკუტის იურტაში მიმქრალი კერი-დან ასული კვამლიაო.

სტუმრის შვილმა ექვსი მზე იცადა ზღვის პირას, ელოდა კუნძულისაკენ გზის გამაგრებას. დამლაშობით ყინული მაგრდებოდა, მაგრამ დაჭკროლავდა თუ არა ქარი, დაეწეოდა ყინულს და სძირავდა ზღვაში ყინულის გზას.

სტუმრის შვილი ყურს უგდებდა ცის სიჩუმეს, უყურებდა ვარსკვლავებს და მზად ჰყავდა ირმები ურასასთან. ძაღლები შეშინებული ყმუოდნენ. დამლაშობით ისმოდა ცაში კუნძულისაკენ გადაფრენილი გედის გუნდის ფრთის ფართხუნი.

სტუმრის შვილი გულხელდაკრფილი იცდიდა. მეხუთე ღამეს წინამძღოლმა ლოსმა წაიყვანა ტოტებიანი ჯოგი ყინულის გზით კუნძულზე. — იორები ვერ გამაბრიყვებენ და ჯოგს არ გაყვები, — გაიფიქრა სტუმრის შვილმა და გაიცინა, როდესაც გაისმა ყინულზე ფეხების ბაკბუკი, — სტუმრის შვილი იორებზე უფრო ეშმაკია.

თეთრი ღამე მთრთოლვარე ნათელს ჰვენდა მიწის მაგვარ ზღვას და შორს მოსჩანდა კუნძულისკენ მიმავალი ლოსების ჯოგის რგვალი ჩრდილი. ჯოგის ჩრდილი ღრუბლის ჩრდილის სისწრაფით მირობოდა თეთრ სივრცეში. სტუმრის შვილის დანაბული თვალები შორს ხედავდა მათ და მისი თვალების შავ სარკეში გამარჯვების გრძნობამ გაიელვა, როდესაც ყინულმა დაარგუხუნა და ყინულის გზა

და ჯოგის ჩრდილიც ჩაიძირა ყინულისა და ზღვის ტალღებში.

მაგრამ მეექვსე დღეს ღამით სტუმრის შვილმა სასწრაფოდ შეაბა ნართში ირმები, დაუსტვინა ძაღლებს, დაალაგა ურასის კედლები ნართზე, დაუძახა ვანიკოს და დედას — „იჩუფეი ბარდა!“ — და გარეკა ირმები ყინულზე.

ძაღლებმა, ირმებმა და ადამიანებმა — ყველამ იცოდა, რომ ყინულის გზა სახიფათო იყო. ულანდო, მკრთალად მოციმციმე ვარსკვლავებიანი თეთრი ღამე ისე აღელვებდა მათ თავისი ილუმინალი ცბიერი ღიმილით, როგორც ზღვა და ყინული.

ირმებისათვის შოლტი საჭირო არ იყო, ისინი ქარივით მიჰქროდნენ და აქლოშინებული ძაღლებიც მისდევდნენ მათ ფეხდაფეხ.

ხანდახან სტუმრის შვილს მოესმოდა, როგორ სკდებოდა ირმების ფეხებ ქვეშ ყინული და მის გულს დაჭრილი ლოსის გულივით გაჰქონდა დაგადუგი. ხანდახან ვანიკო ეძახოდა უკანიდან, უკან ყინული გრიალებსო.

მაგრამ ირმები მირობდნენ მარჯვედ და იმათი სირობილისაგან ამოვარდნილი ქარი აპობდა თეთრ ღამეს. ყინულის გზა გრძელი დაუსრულებელი ზოლივით რჩებოდა უკან და წინ კი წამოიჭრა კუნძულის უზარმაზარი მთების გრძელი ზოლები.

სტუმრის შვილმა შესძახა: — მიწა! იორებს არ ძალუძსთ მოატყუონ ის, ვინც ვეფხი დაახრჩო ძაღლივით.

ირმებმა გაიგეს ძახილი და ქარმა უფრო მაგრად დაუბერა მგზავრებს სახეებზე. შორიდან გაზაფხულის გრგვინვასავით გამოუდგა მათ ყრუ, ნელი გუგუნე. ძაღლებმა ყმუილი ასტეხეს. სტუმრის შვილმა შეუძახა ირმებს, ყინულის გრგვინვა ისევ მოსდევდა მათ.

დედამ შეჰყვირა: — ბევრი ღმერთია ცაზე, მაგრამ, მოხუცო ნიკოლა, შენ ყველაზე დიდი ხარ! დაგვეხმარე ჩვენ.

სტუმრის შვილს გაეცინა. შორს უკანიდან ჩატებილი გზის გრუხუნე მოსდევდა მას, მაგრამ წინ უახლოვდებოდა მათ კუნძულის დანისლული უზარ-

მაზარი მიდამო და ნაპირებისაკენ ყინულიც მაგრდებოდა განთიადის სიცივისაგან.

— იორები ვერ დაგვეწვიან, — შესძახა სტუმრის შვილმა, — იორები ვერ ჩაგვინგრევენ გზას, თუნდაც იმდენი უბერონ წყალს ყინულის ქვეშ, რომ გასკდენ კიდევაც.

იორები მძიმედ სუნთქავდენ და აჩქარებული ქლოშინით ჰფარავდენ ოკეანეს მკერდიდან ამომსკდარ გუგუნს. საშიშროება ერეკებოდა მათ წინ. უცებ ქარის სისწრაფით გამოვიდნენ ნაპირას და იაკუტის შეძახებაზე გაჩერდნენ. მიხვდნენ, რომ გზა დასრულდა და ნელა დაეშვენ მუხლებზე. ძლივს სუნთქავდენ და ხროტინობდნენ.

სტუმრის შვილმა უკან მოიხედა. ტალღებივით აზვირთებული ყინულის მთებს გუგუნნი გაჰქონდათ ჰაერში და ნისლავდნენ გამჭვირვალე განთიადს. გათენებამდის იდგა სტუმრის შვილი ერთ ადგილას გულხედაკრეფილი, დამშვიდებული. დილით ყინულის გზა გასკდა, დაიშალა.

მაშინვე წამოიშალა კუნძულიდან კივილით თოლიების გუნდი და დაეშვა ტალღებზე ყინულებს შორის. სტუმრის შვილმა ბრძანა, ურასა დაედგათ ნაპირას და თვითონ კი წავიდა კუნძულის დასათვალიერებლად.

ნარინჯის მზე ამოძვრა ყინულის კლდეების გადაღმიდან, მიეგება მას, გაუღიმა და გაჰფანტა დილის ნისლი. ყურცქვიტა ძაღლები მისდევნენ მას და აფრთხობდნენ ირგვლივ ფრინველებს, ყეფით ჩერდებოდნენ მათ ბუდეებთან და სტუმრის შვილი მათთან ერთად იღებდა კვერცხებს და სვამდა. სარკესავით კრიალა ტბიდან აიშალენ ვარდისფერ ნისლიან სივრცეში გედები და მძიმედ დაეშვენ ხშირ ლელში. სტუმრის შვილმა დაუძახა ძაღლებს და გასწვია პირდაპირ მზისაკენ, ადამიანის კვალის და ბინის საქებრად.

შუადღისას ისევ გამოვიდა ზღვის პირად და გაჩერდა დაფიქრებული. ძაღლები ბუდეებს ეძებდნენ. უცებ რაღაცა კვალს მიაგნეს, დაფაცურდნენ და ყეფა-წკმუტუნნი ასტეხეს.

ჰყეფდნენ მხიარულად, დიდი ხმით. ამ გარემოებამ სტუმრის შვილი გააკვირვა და დაუძახა ბებერ ძაღლს. ძაღლი ჩააფრინდა ტანისამოსის კალთაში კბილებით და სადღაც ეწეოდა.

სტუმრის შვილი გაჰყვა ძაღლს და მიაღდა მდინარეს. ბებერი ძაღლი აწრიალდა ნაპირას, ბოლოს ჩავარდა წყალში და გასცურა მეორე ნაპირს. მას გაჰყვენ დანარჩენი ძაღლები და მხიარული ყეფითა და წკმუტუნით ეძახოდნენ პატრონს.

სტუმრის შვილი გაჯავრებული უსტვენდა, ეძახოდა და ემუქრებოდა, მაგრამ ძაღლები არ ემორჩი-

ლებოდნენ, ამოეძებინათ კულები, უკან არ მოდიოდნენ და იცდიდნენ ნაპირას.

სტუმრის შვილს სწავდა გაყინული წყალი; მაგრამ მაინც გასცურა ვალმა. ძაღლებმა არც კი აცალეს ჩაცმა, ისე წაიყვანეს წინ. სტუმრის შვილი ძლივს ეწეოდა ძაღლებს და სირბილში ჩქარა გათბა. ძაღლები მხიარულად და მტკიცედ მირბოდნენ ნაპირის დაყოლებით, არსაით არ უხვევდნენ და არც კვალს ეძებდნენ.

— ძალიან ახალი ნაკვალევია, — გაიფიქრა სტუმრის შვილმა, დაუძახა ბებერ ქოფაკს, მიუალერსა. ძაღლმა მხიარულად დაიწკმუტუნა, მაგრამ ალერსით არ უპასუხა მას, მხოლოდ უფრო მხიარულად გასწვია წინ, ყურებდაცქვეტილმა.

— იცის, რას ეძებს და სად მივყავარ, — გაიფიქრა სტუმრის შვილმა და უყოყმანოდ გაჰყვა: ძაღლის ალღოს უფრო ენდობოდა, ვიდრე თავისას.

მდინარემ ისინი ტბასთან მიიყვანა. უკვე საღამო იყო. სტუმრის შვილმა ხევიდან ამოსული ლურჯი კვამლი დაინახა. ეს უთუოდ ადამიანის კერის კვამლი იყო, მაგრამ მან მაინც, როგორც ფრთხილმა მონადირემ, დაუძახა ძაღლებს, დააჩუმდა და ისე წაიყვანა.

თვითონაც მიდიოდა და სიფრთხილით იყურებოდა იქით-აქეთ.

ხევის პირას ფერდობზე შეჩერდა. ახალი ხავსით დაფენილი ხევის ფსკერზე მან დაინახა მობალახე ირმები და ურტა, საიდან მხიარულად ამოდიოდა კვამლის ზოლი.

იურტა სწორედ ხევის ფსკერზე იდგა. ახალი შელესილი იყო და წყნელისაგან დაწნული, საკვამლე მილიც ჰვარტლისაგან ჯერ არ გაშავებულიყო. ძაღლები მისწრაფოდნენ იქითკენ. სტუმრის შვილი ძლივს იკავებდა მათ.

იურტის მახლობლად ხალხი არ სჩანდა. სტუმრის შვილი, ცოტა ფიქრის შემდეგ, სიფრთხილით დაეშვა ძირს ბილიკზე. ბილიკი ნასიარულევი და დატკეპნილი იყო და ძაღლები მოუთმენლად წკმუტუნებდნენ.

სტუმრის შვილი გაბედულად ჩავიდა ძირს. ძაღლები აღარ ემორჩილებოდნენ და დაჰყეფეს კარებთან. მაშინ სტუმრის შვილმა დაღუნა თავი და შევიდა იურტაში.

მინის მაგიერ ხარის ბუშტისაგან გაკეთებული ფანჯრები საკმაო სინათლეს ჰყენდა იქაურობას, რომ სტუმრის შვილის სახე ნათლად გამოსახულიყო ბნელ იურტაში. ცხოველი ცეცხლის ალის ენებიც საკმაოდ ანათებდა იქაურობას, და სტუმრის შვილმა იცნო კერის პირას მჯდომი მაიას ბრინჯაოსფერი სახე.

მაიამ დაინახა ძმა და ხელები მიიფარა სახეზე.

— ვისი გეშინია, — ჰკითხა სტუმრის შვილმა, მივიდა მასთან და ხელები ჩამოაცალა პირისგან, — განა მე შენი სიზმრის აჩრდილი ვარ?

მაიამ დაიჩოქა მის წინაშე:

— შენ მოხვედი ჩემი ქმრის ან ჩემ მოსაკლავად?..

სტუმრის შვილმა ადვილად ააყენა ის.

— მე იმ ზამთრებში კი არ ვცხოვრობდი, როდესაც ამ კუნძულზე მამონტები დაეხეტებოდნენ და არც კი ფიქრობდნენ, რომ კუნძული იმათ სასაფლაოდ გადაიქცეოდა. რატომ უნდა შევასრულო მე იმათი კანონი, ვისი სიცოცხლეც ჰქრება შენ კერაში ანთებული ცეცხლის ალივით, რადგანაც შეშას აღარ აყრი ზედ?

მაია ყურს უგდებდა მას და ვერა გაეგო-რა. სტუმრის შვილმა მიიხედ-მოიხედა ირგვლივ. სიბნელე სწრაფად ანათებდა ხარის ბუშტის ფანჯრიდან იქაურობას, მაგრამ იმდენად საკმაო სინათლე კი იყო, რომ იაკუტის მახვილ თვალებს დაენახა ცარიელ იურტაში რუსების კვალი და მშვიდობიანი ხმით ჰკითხა:

— სად არის შენი ქმარი და რატომ არის შენ ბინაში რუსის ტანისამოსი?

მაშინ მაიამ დაიწყო აჩქარებით, თითქოს ქარი ეხმარებოდა მის ბაგეებს განძრევას:

— როდესაც ჩვენმა ძაღლებმა მამაჩემის ტანისამოსის ნაფლეთები მოგვიტანეს და მისი ცხეღარიც ვნახეთ მგლებისაგან შექმული, ჩვენ ნაკვალევზე...

სტუმრის შვილმა თავი დახარა. მაიამ ასწია მალა ხელები. ცეცხლის წითელ სინათლეზე აიმართენ ისინი შეშინებული გედების ვარდისფერ ყელბივით.

სტუმრის შვილმა ნელა წარმოსთქვა:

— განაგრძე, მე არაფერი ვიცოდი ბებერი ირმის სიკვდილის შესახებ, რომელიც სულელურმა კანონმა მოიწყვედია სიკვდილის მახეში! მაგრამ მე დავინახე ეს ცეცხლის ალში. სთქვი!

— მაშინ, — განაგრძო მაიამ, — მაშინ ვუთხარი ჩემ ქმარს, უნდა გავიქცეთ მეთქი. ის დამეთანხმა და წამოვედით აქეთკენ, რადგანაც ვფიქრობდით, რომ არ გამოხვიდოდა ტუნგუსების მინდვრებიდან, სანამ შურს არ იძიებდი, როგორც კანონი ბრძანებს. წამოვედით აქეთკენ მდინარის შესართავამდის და ამ მდინარის ტოტით გამოვწიეთ ბიკოვის კონცხისაკენ, მოვდიოდით კაიუკებით ¹⁾, რომლებითაც აქეთკენ მოდიოდნენ მამონტების ეშვების წასაღებად. ჩემმა ქმარმა მდინარე ლენას ამბავი კარგად იცის და

მან წამოიყვანა იალქნებიანი კაიუკები ზღვამდის და ახლა ვტვირთავთ მას მამონტის ეშვებით, რომლებსაც საც აქ ეძებენ პატარა ნავებით.


— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რუსი ვილა არის შენს იურტაში?

მაიამ გაიცინა. მისი თვალები ნაპერწკლებს ჰყრიდა სიცილისაგან.

— რუსი — თვალებზე შუშებგაკეთებული კაცია. ის არ აგროვებს ეშვებს, ჩვენ გვაძლევს საქონელზე გასაცვლელად. სამაგიეროდ დადის კუნძულზე, რალაცას ეძებს, ხანდახან გვათხრევენებს მიწას, გვანგრევენებს კლდეებს.

სტუმრის შვილმა გაიხედა ფანჯარაში:

— ღამე გზას გამიგრძელებს. უნდა ვიჩქარო. მამონტების ძვლების საშოვრად ჩამოვედი, რადგანაც აქ მამონტების სასაფლაოა. როდესაც შევავროვებ საყოფად, ჩამოვალ, ვნახავ ვაქრების მოტანილ საქონელს და გავცვლი. მშვიდობით.



— შენ არ მომკალი და არც ჩემი ქმრის მოკვლას აპირებ, ანდრია, მაგრამ ნუთუ არ გინდა დარჩე ჩვენს იურტაში სტუმრად?

სტუმრის შვილმა თავი გაიქნია.

— ადამიანების გზები სხვადასხვაა. არწივი ნავარდობს ცაში და ღორი ჩიჩნის მიწას, მაგრამ ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს კაიუკებისაკენ მიმავალ საერთო ბილიკზე.

მშვიდობით და ნულარ იფიქრებ იმ სოხების სულელურ კანონებზე, რომლებიც ძვლებიც დიდი ხანია გამოხრეს მშიერმა მგლებმა.

ის მოტრიალდა და გავიდა. მაია გაჰყვა. ძაღლები ელაქუცებოდნენ და წკმუტუნებდნენ მის ფეხებთან. სტუმრის შვილმა მკვეთრად დაუსტვინა და გაიგდო ისინი წინ; ძაღლებმაც მორჩილად დაუშვეს კულები და წავიდნენ ყურებდაცქვეტილები.

ღამე სტუმრის შვილი დაბრუნდა ნაპირას. ურასა გაქიპული იყო, ირმები იცოხნიდნენ ახალ ხავსს

¹⁾ კაიუკი — ნავი.

და კერაში გაჩაღებული ცეცხლის სინათლე ჰკრთო-
და ურასის თავზე და ხლართავდა ჩრდილებს ნა-
თელ, გამჭვირვალე ღამეში.

V. თვალეზე შუშებგაკეთებული კაცი.

ბევრჯერ ამოვიდა ნარინჯისფერი მზე ვარდის-
ფერ ნისლში მამონტების საფლავებზე და ჩავიდა
ოკეანეს ყინულოვან კლდეს გადაღმა, იასამნისფერ
სივრცეში. ათასწლოვანი ყინული უთმობდა ადგილს
მცხუნვარე მზის და თეთრი ღამეების სითბოს. კუნ-
ძულის ტბებმა გადმოდვარეს წყლის ნაკადების
აზვირთებული მდინარეები ოკეანეში. ტბის ნაპი-
რებზე, ხშირ ლელში გრძელყელა გედებს პირველად
გამოჰყავდათ თავიანთი ჭუკები საცურაოდ.

ჩაყვითლებული ხეები ამწვანდა ირმის ხავსით.
კუნძულის მეორე მხარეს ზღვა გაიწმინდა ყი-
ნულისაგან და ნაპირს ფრთხილად მოადგა ხალხი-
თა და საქონლით დატვირთული კაიუკები. შორს
იასამნისფერ ოკეანეს სივრცეზე ყინულის გამჭვირ-
ვალე კლდეებს ჩამავალი მზის სხივები აშუქებდა, თი-
თქოს მზე მიჰკორავდა, მისდევდა მათ, რომ ორიო-
დე საათის შემდეგ ისევ ამოკურებულყო კუნ-
ძულზე.

სტუმრის შვილმა გაიარა სამი მეოთხედი კუნ-
ძულისა და ვრცელი ოკეანეს ჩრდილოეთით გამო-
ვიდა. ურასასთან, ირმებთან, ძაღლებთან და ბარგი-
ბარხანასთან ერთად მან გადმოიტანა აქ ექვსი წყვი-
ლი, ბებერი იაკუტის კბილებივით ყვითელი, მამონ-
ტის ეშვები.

სტუმრის შვილმა სულ შემოიარა ეშვების სა-
ძებრად კუნძულის ტბები, მდინარეები და ნაკადუ-
ლები, რომლის ნაპირებზე ახლა თოვლი ამდნარ-
ყო. ხანდახან, როდესაც იპოვიდა რქასავით მოღუ-
ნულს, ორი კაცის სიმაღლე ეშვს, მაშინვე ჩა-
ეშვებოდა სწრაფი მდინარის ტალღებში თუ ტბის
წყალში, რომ მოენახა მეორეც.

მას თან დაჰყვებოდნენ ძაღლებიც. ბებერ, ჰკვიან
ძაღლს ერთობ ეძნელებოდა უნახავი, უცნობი ცხო-
ველების ძვლების ძებნა, სწუხდა თავის უღონობას
და სწავლობდა მკვდრებზე ნადირობას. ხანდახან
წააწყდებოდა ცალ ეშვს და გახარებული ყმუოდა
და აწყდებოდა იქით-აქეთ. ხანდახან დაღონებული
ადევნებდა თვალყურს თავის პატრონს, როდესაც
ის ჩაიყურყუმალებდა ტბის ფსკერზე და ისევ ამო-
ტივტივდებოდა ხელსარიელი, და შეწუხებული წკმუ-
ტუნობდა.

ოკეანეს დაქანებულ ველურსა და უნაყოფო
ნაპირებს ტალღები ღრღნიდა. წყლით გაქდნთილ
ყინულის კლდეებს წყალი გლეჯდა და ახალ წყლუ-

ლივით კრილობას სტოვებდა წითელი ნაპირ-
რებზე. მაღლიდან ჩამონადენი ღვარბები და
ლობებს სთხრიდნენ საუკუნოებით ფოლადივით მაგ-
რად გაყინული ნაპირების თიხის ფერდობებზე.

სტუმრის შვილი იღვა ნაპირას. ექვსი წყვილი
მამონტის ეშვი გადასთვალა და ვანიკოს მიერ ნა-
შოენი გედის ტყავების თვლას შეუდგა. ყვითელი,
მაგარი და მძიმე ძვლები, რომლების დაძვრა ერთი
ადამიანისათვის საძნელო იყო, ურასის წინ ეწყო
და ბებერი ძაღლი არ შორდებოდა მათ. ვანიკო კი
ზიზლით შესცქეროდა; როდესაც თვლა გაათავა,
სტუმრის შვილმა უთხრა ვანიკოს:—რუსებმა იციან
ყველაფრის ფასი, იაკუტი კი ერთ სპილენძის ჩაი-
დანში ცისფერი მელის სამ ტყავს აძლევს, იმიტომ
რომ ჩაიდანს საჭიროა მისთვის. რუსს მიაქვს ტყა-
ვები, რომელიც სრულიადაც არ არის მისთვის სა-
ჭირო და სამაგიეროდ ღებულობს ყოველ ტყავში
სამჯერ ათ სპილენძის ჩაიდანს. რუსები ეშმაკები
არიან, მაგრამ იაკუტებისათვისაც არავის წაუერთმე-
ვია ჰკუა.

სტუმრის შვილმა ამოიხვნეშა და სთქვა:—
უთხარი დედას, კერა გაჩაღოს. უნდა ვიჩქაროთ,
რადგანაც ყინული ჩაიძირა წყალში და, მაშასადამე,
ზამთარი მოახლოვებულია, ჩვენ კი ჯერ კუნძულის
სამი მეოთხედიც არ გაგვივლია.

ვანიკო წავიდა. საღამოს ბინდში შორიდან
მოისმა ძაღლის ყმული—ძახილი. ბებერმა ქოფაკმა
ყურები სცქვიტა და ისეთივე შეშინებული ყმუ-
ილითვე გამოეხმაურა მას. სტუმრის შვილმა მთელი
თავისი ფილტვების ძალ-ღონით დაუძახა ძაღლებს და
მის მძაფრ სტვენაზე, რომელმაც გაჰკვეთა გამჭვირ-
ვალე ღამის მყუდროება, ძაღლებმა მაშინვე მოირ-
ბინეს.

ძაღლები მოუთმენლად ელოდნენ მას და ეწეო-
დნენ წასასვლელად. სტუმრის შვილი წაჰყვა და ჩავი-
დნენ ხევის ფსკერზე, რომელიც წმინდად გადაერეც-
ხა ჩამონადენ ღვარს. ხევის ფერდობზე თეთრი
ღამის ბინდბუნდში რაღაც ყფითა და წკმუტუნით
ფუსფუსებდა. სტუმრის შვილმა იცნო ერთი თავისი
ძაღლი და მივიდა ახლოს. ძაღლი ხროტინითა და
წკმუტუნით გამალბებით ჰგლეჯდა მიწიდან გამდნარ,
დარბილებულ ხორცსა და ბეწვს. სტუმრის შვილმა
ვერ მოაშორა ნანადირევს. ძაღლი ტყუილად წკმუ-
ტუნობდა, ჰყეფდა და ცდილობდა გამოეთრია მიწი-
დან ნანადირევი.

სტუმრის შვილი დაიხარა და დაუწყა ცქერა.
ბეწვის დაგლეჯილ ნაფლეთებ ქვეშ მუქი წი-
თელი ხორცი მოსჩანდა, მაგარი, როგორც ქვა, მაგ-
რამ ქოფაკის კბილებში თბებოდა და მოხარშული
ხორცივით იშლებოდა გრძელი ძაფის მსგავსად.

განცვიფრებული სტუმრის შვილი ადგა და მოაშორა ძაღლები. ძაღლები გაჩერდნენ, დაემორჩილნენ ადამიანის ნებისყოფას, თავი დაანებეს მიწასა და ხორცს, მაგრამ მზად იყვნენ, ყოველ წუთს ისევ მივარდნოდნენ.

სტუმრის შვილმა აიღო სარი და შეუდგა მიწის თხრას. ზვიდან გამლხვალ მიწა ადვილი სათხრელი იყო, მაგრამ გაყინული ქვევითა ფენი უკვე ყინულივით წვრილ ნაჭრებად სატეხი შეიქნა. სტუმრის შვილი სატეხად და მიწასთან ერთად ჰგლეჯდა ნაცრისფერ ბეწვს, რომელსაც მოჰყვებოდა წითელი ტყავი და შავი ფაფარი. სტუმრის შვილი აჩქარებით თხრიდა მონადირის სიხარბით, ჩუმად იყო და მხოლოდ ხანდახან დაუყვირებდა ძაღლებს, რომლებიც თავს ვერ იკავებდნენ და მიიწვედნენ მიწაში დამარხული ცხოველისაკენ.

მზემ წვრილი კიდით ამოაშუქა ოკეანეს სივრცეში ლურჯად გაჭიმული ყინულის მთის გადაღმიდან, გაანათა და გაამჰვირვალა სრულიად. დილის სინათლე მისცურავდა ოკეანეზე, როგორც ღრუბლების სწრაფი ჩრდილი. მაშინ დილის სინათლეზე სტუმრის შვილმა დაინახა უშველებელი ცხოველის ფეხი მიწაში. ადამიანის სიმაღლე მიწა მოთხარა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ეს ცხოველის ფეხი იყო; შეშინებული მოშორდა ამ უცნაურ ფეხს.

ქოფაკები იმ წამსვე ეცნენ და დააცხრენ კბილებით მიწაში ჩაფლულ მატყლსა და ხორცს; როდესაც სტუმრის შვილმა ისევ მოაშორა, დაინახა, რომ ძაღლები სიხარულით ჰამდნენ ხორცს.

„თუ ეს ის ნადირია, რომლის რქებსაც მე ვეძებ, — გაიფიქრა სტუმრის შვილმა, — ჩემი მუშაობა უბრალოდ დაკარგული დრო არ იქნება და ამოვთხრი“.

ფიქრობდა დიდხანს, სანამ მუშაობას შეუდგებოდა.

მან გადადგა ხუთი ნაბიჯი წინ, ზვეითკენ, იმ საგანზე, რომელიც ფეხს აგონებდა, და მოუხვია კუთხედს; ახრით ეძებდა მიწაში, სადაც უნდა ყოფილიყო ის თავი, რომელიც ეშვებს ატარებდა.

გაიარა ექვსი ნაბიჯი, გადასწმინდა გამლხვალ მიწის ფენი და დაინახა შავი ბეწვი და ბეწვს ქვეშა მოწითალო მატყლი. მან კიდევ წარსდგა ორი ნაბიჯი და კიდევ გადახადა მიწის ფენი და ახლა გამოჩნდა ცხენის ფაფარის მსგავსი ფაფარი. ყოველი ფეხის გადადგმაზე თხრიდა მიწას და მხოლოდ მეთორმეტე ნაბიჯზე დაინახა, რომ ცხოველის სხეული გათავდა. მაშინ, როგორც ყოველ მონადირეს ჩვევია, დაღლილობაც დაავიწყდა და გაცხარებით დაუწყო გაქვავებულ მიწას მტვრევა სარით და ბოლოს დაინახა ყვითელი ძვლის ვეება ეშვები.

ცოტა ხნით დაჯდა დასასვენებლად უკვბ თავში ფიქრმა გაურბინა. მაშინვე წამოხტა ფეხზე დაუძახა ძაღლებს და მხრიარულად წარმოისტევა.

— შინ!

ძაღლები უხალისოდ მისდევნენ. სტუმრის შვილმა დაითვალა და როცა დარწმუნდა, რომ არცერთი არ დარჩა მკვდარ ცხოველთან, მხოლოდ მაშინ გასწია შინისაკენ. ვანიკო წინ შემოეგება, და სტუმრის შვილმა უბრძანა მას:

— წაიყვანე ბებერი ძაღლი და წადი კუნძულზე, შორს, ისე რომ მზე ზურგს გითბობდეს. დიდ ღელესთან შენ ჩემ ნაკვლევს ნახავ, გაჰყევი მას და ის შენ იმ ხალხის იურტაში მიგიყვანს, რომლებიც მამონტის რქებს ეძებენ. უთხარი, რომ მოვიდნენ აქ, რადგანაც მე ისეთი რამ ვიპოვე, რაც ათ წყვილ მამონტის რქაზე უფრო მეტი ღირს. მე ვიპოვე მთელი მამონტი.

სტუმრის შვილმა გაიღიმა:

— ისინი, რომლებიც ისე ძვირად ყიდულობენ მხოლოდ რქებს, თქმა არ უნდა, ბევრს გამოიღებენ მთელ ნადირში, რომელიც არავის არ უნახავს ცოცხალი და მკვდარი კი მე ვნახე პირველმა! გასწი! მე ვუყარაულებ ნადირს და ამოვთხრი ვაჭრებისათვის.

ვანიკომ წაიყვანა ბებერი ძაღლი და წავიდა. სტუმრის შვილი ელოდა მას გვიან საღამომდის, მაგრამ ვანიკო მხოლოდ მეორე დღეს, დილით, დაბრუნდა. მასთან ერთად მოვიდა მაღალი, გამხდარი, სათვალეებიანი კაცი. კაცმა ხელი ჩამოართვა სტუმრის შვილს და იაკუტების ენაზე მიესალმა მას.

სტუმრის შვილმა შეიყვანა ის ურასაში, გაუმასპინძლდა გედის კვერცხებით და ირმის ხორციით და, როდესაც სტუმარი გაძღა, თავმოამწონედ უთხრა:

— მე გამოგიგზავნე კაცი, მამონტი ვნახე მეთქი.

სათვალეებიანმა კაცმა თავი დაუქნია:

— დიახ, მე ვიცოდი, რომ ჩვენ აქ ვიპოვიდით მამონტს, მე ვიცოდი. აი, მოვედი, რომ ვნახო.

სტუმრის შვილი ადგა და ღიმილით ჰკითხა:

— როგორ შეგეძლო შენ გცოდნოდა ეს? განა შენ თვალეებზე გაკეთებულ შუშებს შეუძლია დავანახავოს, რაც ხდება მიწაში.

კაცმა შეხედა სტუმრის შვილს სათვალეების ზემოდანაც და სათვალეებითაც, შემდეგ მხიარულად გაიცინა ბავშვივით:

— რა კარგადა სთქვი! იმას, ვინც ბევრს სწავლობს და წიგნებს კითხულობს, ჩქარა უსუსტდება მხედველობა. როდესაც მე ცოდნა შევიძინე, მხედველობა დავკარგე და სათვალეების ტარება დავიწყე. ასე რომ შენ მართალი ხარ, — ჩემი სათვალეების

მეოხებით მე ვიცი ხანდახან ისიც, თუ რა არის მიწაში.

სტუმრის შვილმა თავი ჩაღუნა და შემდეგ ნელა ჰკითხა:

— რას იძლევიან შენი ვაჭრები ისეთი ცხოველის ხორცში, რომელიც თორმეტი ნაბიჯის სიგრძეა?

— არაფერს, — მიუგო სათვალეებიანმა კაცმა, — ვაჭრებს არ უნდათ გაყინული ხორცი და მე კი ვაჭარი არა ვარ. მაგრამ თუ ცხოველს მომცემ, დამეხმარები იმის ამოთხრაში და კაიუკზე დატვირთვაში, რომელიც ამ ნაპირებს მოადგება, მე შემძლია ბევრი რამე გავაკეთო შენთვის. ცხოველს ჩვენ წავიდეთ ისეთ ადგილას, სადაც იციან მისი ფასი. შენ სთქვი, რა გინდა?

— რუსული ქოხი რუსული ღუმელით, მიწა მდინარე აღდანის ნაპირას და მანქანა, რომლითაც პურს აკეთებენ.

— სუყველაფერ ამებს უსათუოდ მიიღებ, — გაიცინა სათვალეებიანმა კაცმა, — იაკუტსკში კომისია არის, რომელიც იაკუტებისათვის ყველა ამას აკეთებს და ასწავლის მათ რუსულ ცხოვრებას. ბევრად უფრო მეტს გავაკეთებ შენთვის, ვიდრე შენ მთხოვ.

სტუმრის შვილი ადგა.

— მაშ წავიდეთ! წამოდი და წაიღე ის, ვის სასაფლაოსაც ეძახიან ამ კუნძულს.

სათვალეებიანმა კაცმა გაუწოდა მას ხელი და სტუმრის შვილმა ჩამოართვა. კერაზე ალაპლაპებული ალის ენების შექმა გაიელვა სტუმრის შუშის თვალეებზე, და სტუმრის შვილს მოეჩვენა, რომ ამ თვალეებს მართლა შეეძლო განეჭვრიტა დედამიწა და დაენახა ის, რაც შიგ ხდებოდა.

ორივენი ერთად გამოვიდნენ. ძაღლებმა ყმუილი ასტეხეს, წასაყოლად მიიწვედნენ, მაგრამ დაბმულები იყვნენ. სტუმრის შვილმა ისინი თან არ წაიყვანა. როდესაც იმდენად შორს წავიდნენ, რომ იმათი ყმუილი აღარ ისმოდა, მაშინ სათვალეებიანმა კაცმა გამოჰკითხა, მამონტის ბეწვი შავი ფერის თუ არის, ან მატყლი თუ აქვს მოწითალო, დიდრონი ეშვები თუ აქვს და საკმელი ხომ არ დარჩენია კბილებშიო.

სტუმრის შვილმა უპასუხა:

— არვის არ შეუძლია იცოდეს რა ფერისაა ის ნადირი, რომელიც მე ვნახე! განა მე არ ვიპოვნე ის პირველმა?

სათვალეებიანმა კაცმა გაიღიმა.

— იმ ქვეყანაში, სადაც რუსები ცხოვრობენ, შუზეუმი არის და ამ მუზეუმში შეიძლება ნახოს კაცმა მამონტის ტაბლი. არა, შენ პირველს არ გინახავს მამონტი.

სტუმრის შვილი დაჩუმდა და ისევ მარტო დარჩენილი ცი ნაპოვნ ნადირთან, რომ ხმა აღარ ატყდა.

VI რა ატირებს კაცს, რომელსაც შუშები აქვს თვალეებზე გაკეთებული.

კიდევ ოცი მზე ამოვიდა გაყინული ოკეანეს კლდის გადაღმიდან და ამდენივე გადავარდა იქვე მახლობლად ოკეანეს ვარდისფერ სივრცეში. თეთრი ღამეები იფერებოდა ჩრდილებით, და გედის პატარა ვარდისფერი შვილები პირველად ცდილობდნენ ფრთების აქნევას ჰაერში.

უზარმაზარი მამონტის ტანი ამოვიდა დედამიწიდან. იალქნიანი კაიუკი მოაყენეს ნაპირს. შიგ ტვირთავდნენ ნაწილ-ნაწილად დახერხილ ქვასავით გამაგრებულ მამონტს. სათვალეებიანმა კაცმა შეაგროვა ძირს დაცვივებული მატყლის ნაფლეთები და ქალაქში შეახვია მამონტის პირში დარჩენილი ბალახი. სტუმრის შვილი განცვიფრებით შეჰყურებდა სათვალეებიან კაცს. როდესაც დაბრუნდა კაიუკიდან ცხოველის უკანასკნელი ნაჭერის წახალებად, სათვალეებიან კაცს უთხრა:

— შენი შუშები არწივისებურად ამახვილებენ შენ თვალებს, მაგრამ ყურებზე კი შუშები არ გაქვს. მე მესმის, რომ გრიგალი გვიახლოვდება. დავტვირთავთ თუ არა კაიუკს, უბრძანე, რომ მაშინვე მოაშორონ კუნძულს, თორემ ოკეანე მორეკს ნაპირებზე ყინულის მთებს, რომელიც ისე ადვილად ჩასძირავს შენს კაიუკს ზღვის ფსკერზე, როგორც გელი ჩააყურყუმალებს ხოლმე თავს წყალში.


სათვალეებიანი კაცი უსმენდა მას და თანხმობით აქნევდა თავს, დადიოდა მამონტის საფლაოზე, აგროვებდა დაცვივებულ მატყლის ნამცეცებს, ფხვნიდა მიწას და სინჯავდა გემოს.

უკანასკნელად ტვირთავდნენ ცხოველის თავს. ოთხ კაცს მოჰქონდა მხრებით და იზნიქებოდა მისი სიმძიმით. რქასავით მოღუნული ეშვი ედგა მხარზე სტუმრის შვილს, გრძელი ფაფარი მიეთრეოდა მიწაზე და ედებოდა ფეხებში. სათვალეებიანი კაცი სწევდა ფაფარს, აღტაცებით გამოიციქრებოდა შუშებში და ამბობდა:

— განა მარტო რუსეთი გაიგებს, რაც ვიპოვნეთ? მთელი ქვეყანა ალაპარაკდება იმის შესახებ და აუარებელი ხალხი ჩამოვა იაკუტეთში მამონტის სანახავად, მისი ყოველი ბეწვის შესასწავლად. ჩვენ ისეთი საჩუქარი მიგვაქვს, სტუმრის შვილო, შენი სამშობლოსათვის, რომ ერთი და ორი მეცნიერის ყურადღებას კი არ მიიპყრობს ის. სტუმრის შვილო, შენ მიიღებ ქოხსაც, გუთანსაც, მიწასაც!

სტუმრის შვილი უსმენდა და ამბობდა:

— დააჩქარე კაიუკის გაყვანა! ოკეანეს ნაპირი საშიშია ამისთანა ნაღისთვის.



მაგრამ ცხოველის დატვირთვის შემდეგ საჭირო იყო გადაეტანათ მიწაც, სადაც ცხოველი ნახეს, მისი საფლავის კედლები.

როდესაც დაბინდდა, ტუნგუსებმა არ იკისრეს კაიუკის გაყვანა, რადგანაც მარჯვე ქარი არ უწყობდა ხელს და მგზავრობა საშიში იყო. სათვალეებიანი კაცი იჯდა ნაპირს და გასცქეროდა სივრცეს. სტუმრის შვილი ტყუილად ეპატიებოდა ურასაში, ის დარჩა და უყარაულებდა კაიუკს და ხალხს, რომელთაც ეძინათ ნაპირას ანთებულ კოცონთან.

ღამე უცებ დაიღრიალა ოკეანეს ქარმა. ხალხს გამოეღვიძა ქარისა და სიცივისაგან. სტუმრის შვილი გამოვიდა ნაპირას, რომ დაენახა, როგორ დაიღუპებოდა ნავი.

იალქნიანი ხომალდების სისწრაფით მოჰქროდენ ბნელი შორი მანძილიდან კუნძულისაკენ ყინულის მთები. სათვალეებიანი კაცი გამწარებული დარბოდა ხალხში, ბრძანებას აძლევდა, ეხვეწებოდა ყველას, მაგრამ ყველა თავს აქნევდა და სდუმდენ.

— იორებს არ უყვართ, როდესაც აღამიანები ერევიან იმათ ფერხულში, — სთქვა სტუმრის შვილმა, — და არაფრის გულისთვის არ გავა ახლა ზღვაში ნაპირიდან არც ტუნგუსი, არც იაკუტი. დაწყნარდი და უცადე, — იქნება, იორებმა ააცდინონ ყინულის მთები.

როდესაც სათვალეებიანი კაცი დარწმუნდა, რომ მისი თხოვნა და ბრძანება არ გასჭრიდა, და-

ჩუმდა და დიდხანს სდუმდა. ის ხედავდა, როგორ მოიწვევდა ნაპირისაკენ კაიუკი, როგორ ეხვეწებოდა მას ყინულის კლდეები, ხედავდა, როგორ ეპატიებოდა ხის ნავი წყლის ზედაპირზე კიდევ დიდხანს, სანამ გადატრიალდებოდა, ხედავდა, როგორ დაეჯახა მას უშველელი ყინული და როგორი ტკაცუნითა და კრიალით გადასჭრა შლაზე.

ყინული მოცურდა ნაპირას, კაიუკის ნაფოტები კი დაიძირა წყალში. სათვალეებიანმა კაცმა მიიფარა სახეზე ხელები და იჯდა გაუნძრევლად დილამდის. როდესაც სტუმრის შვილმა მოაშორა მისი ხელები სახეს და შეხედა შუშებს ქვეშ თვალეში, დაინახა, რომ მსხვილი ცრემლები სცვიოდა თვალთაგან, რომლებიც ჩრდილოეთის ნათებასავით კიაფობდა განთიადის ბრწყინვალე შუქზე.

სტუმრის შვილმა დაიკრიფა გულზე ხელები და წარმოსთქვა:

— მე არ ვტირი, თუმცა დავკარგე ქოხი და სხვა ბევრი რამ, შენ კი მხოლოდ მკვდარი ცხოველის ხორცი დაგეკარგა, რომელიც ძაღლების საქმელად თუ გამოდგებოდა.

სტუმრის შვილი გულხელდაკრეფილი სიბრაულულით შეჰყურებდა სათვალეებიან კაცს.

მას ვერ გაეგო, როგორ უნდა შეეწუხებია ისე მკვდარი ცხოველის უვარგისი ხორცის დაკარგვას ისეთი კაცი, რომელსაც მთის არწივისებური მახვილი თვალეები ჰქონდა.

6.

რა დაადგინა ს. ა. ლ. კ. კ. მე-8 ყრილობამ სოციალური პიონერთა მუშაობის შესახებ.

ჩვენს ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს პიონერ-მუშაობის სასკოლო საქმესთან დაკავშირება, მაგრამ იმისთვის, რომ განვსაზღვროთ პიონერ-მუშაობის ამოცანები საბჭოთა ახალ სკოლაში, საჭიროა შევქნათ მათ შორის, ე. ი. პიონერ-ორგანიზაციასა და საბჭოთა ახალ სკოლას შორის ისეთი ურთიერთობა, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლე ახალგაზრდობის ზრდას რევოლუციის ფარგლებში, ხოლო მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს ცოდნის გაღრმავებას და გაფართოვებას კულტურის ფართე ასპარეზზე.


მაშასადამე, მთავარი ამოცანა, რომელსაც უნდა ისახავდეს პიონერული მოძრაობა ჩვენს სკოლაში, არის ახალგაზრდობის პოლიტიკური და კულტურული აღზრდა.

როგორც ვიცით, პიონერთა ორგანიზაციის

მუშაობის გამტარებელი სკოლის ფარგლებში არის ფორპოსტი. იგი წარმოადგენს კომუნისტური მოძრაობის უჯრედს, რომელმაც უნდა იზრუნოს ჩვენს სკოლაში ახალი ყოფა-ცხოვრების პირობების შესაქმნელად. დღემდე ჩვენში არსებობდენ ფორპოსტები, მაგრამ იმათ არც კი იცოდენ თავიანთი ამოცანები კარგად და ამიტომ მათი მუშაობა ძალზე მოსუსტებდა. ფორპოსტის ამოცანები მკაფიოდ არის გამოსახული იმ რეზოლუციაში, რომელიც მიიღო ს. ა. ლ. კ. კ. მე-8 ყრილობამ სკოლა ი პიონერთა მუშაობის შესახებ:

„ფორპოსტი მუშაობას იწყებს სკოლის შინაური ცხოვრების მოწესრიგებით და მოწაფეთა შეკავშირებით. მისი ამოცანებია: მოწაფეთა ჩაბმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და კავშირის დაჭერა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგა-

ნიზაციებთან, ე. ი. ფოსპოსტის საზრუნავი საგანია მოწაფეთა შორის აქტივობის გაღვივება. ფორპოსტი უნდა ეცადოს ჩააბას ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დაინტერესოს ქვეყნის პოლიტიკური ვითარებით. პარალელურად ფორპოსტი მუშაობს მოწაფეთა ცოდნის ასამაღლებლად. იგი ამ შემთხვევაში უნდა გამოვიდეს მასწავლებლების დამხმარე ძალად და უნდა ზრუნავდეს მოწაფეთა კულტურულად მომზადებისათვის. რეზოლუცია აქაც უსვამს ხაზს ამ გარემოებას და ამბობს:



შალვა ტაბიძე, ს. ბ. კ. ორგ. ცენტ. ბიუროს თავმჯდომარე.

ასამაღლებლად, რისთვისაც ის აღმზრდელით მუშაობას ეწევა.

ქველი სკოლის დამახასიათებელი თვისება, სხვათა შორის, ის იყო, რომ იგი ვერ აწარმოებდა მეთოდურ ბრძოლას მოწაფეთა ცუდი გზისაკენ გადახრის წინააღმდეგ. თამბაქოს წვევის, ლოთობის, უსაქმოდ ხეტიალის და სხვა გამრყენელი მოვლენების წინააღმდეგ ქველი სკოლა ადმინისტრაციულ ზომებს, მიმართავდა; სკოლაში იყო შექმნილი ერთგვარი რეჟიმი, რომელიც მიზნად ისახავდა შიშის მეოხებით ბრძოლას ამ უკუღმართობის მიმართ.

თანამედროვე ახალი სკოლის ცხოვრების პირობებში ეს ქველი საშუალებანი მიუღებელია, რადგანაც ამ შემთხვევაშიაც ვერ მივახწევთ მიზანს, ისე, როგორც ვერ ახწევდნენ ქველად. ეს მავნე სენი შეიძლება აღმოვფხვრათ ახალგაზრდობაში მხოლოდ

შეგნების საშუალებით. ეს როლი სავსებით უნდა იკისროს ფორპოსტმა, მან უნდა გამოიხატოს აქტივობა ამ შემთხვევაში და სკოლის თვითმართველობასთან და პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად აწარმოოს მუშაობა ამ დარგში. ამის შესახებ გარკვევით გვეუბნება რეზოლუცია: „ფორპოსტები დაუნდობელ ბრძოლას უცხადებენ სასწავლებელში ქველყოფა-ცხოვრებას, მემზანურ ტრადიციებს, ებრძვიან მოწაფეებში თამბაქოს წვევას, ლანძღვა-გინებას, უსაქმოდ ხეტიალს და სხვა“.


ფორპოსტის საქმიანობა სკოლაში სავსებით შეთანხმებული უნდა იქნას სკოლის მოწაფეთა თვითმართველობასთან და პედაგოგიურ საბჭოსთან. ფორპოსტი დაულაღვად უნდა მუშაობდეს იმისათვის, რომ მოწაფეთა ფართე მასებში გააღვივოს საერთო აქტივობა ახალი ყოფაცხოვრების შესაქმნელად. მას უნდა აინტერესებდეს, რომ ამ ახალი ყოფაცხოვრების გამოქვეყნებაში აქტივობა გამოიჩინონ აგრეთვე მასწავლებლებმაც.

ფორპოსტი — ეს არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მუშაობას ეწევა საბჭოთა სკოლის ახალი ყოფაცხოვრების გზაზე გადასაყვანად.

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას პ./მ. გობეჩია.

მისი მთავარი ამოცანაა მომავალი თაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული აღზრდა. მის მუშაობას ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

შე—ლი



გ ა ს ა რ თ ო ბ ი


გეოგეზრიულ—ლიტერატურულ

ვ	ე	ი	მ	ს	ნ	ი	ა	ა	ტ	მ	ე	ო	ნ	ს	ი
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---




შარდა

ქართველი ბიზლიმთქვა



ხუთკუთხედიანი ქალაქი.



რკინის გზის ხაზები.

წვიმის წყალი რა ჩადგება
 იხე-ბატის გასახარადა,
 ბავშს უყვარს მასში ჭყაბუნნი,
 თუ დარჩა სახლში ცალადა.
 ეგ სიტყვა შუა გაყავი,
 პირველს წაავლე ხელია,
 მადროვე ცოტა ხნობითა,
 შარადა მოგცე მთელია.

მერვე ასოსა დახედე,
 ანიდან გაითვალევი,
 შარადა ასე შესდგება,
 ამდენ ხანს ნათვალთვალევი.
 სულ—გლეხის იარაღია,
 სახნავში მოიხმარებსა,
 ლულუნებს ოროველასა,
 „ჰამო“-ს შესძახებს ხარებსა.

დ. კარბელი.

როგორ განიყვანოს მინალაგება რკინისგზა.

როცა ევროპელები ჩინეთში შევიდნენ, მათი უპირველესი საზრუნავი საგანი რკინის გზის გაყვანა იყო, ჩინეთის უკეთესად დასაპყრობად.

ერთხელ ხუთმა სახელმწიფომ მოინდომა ჩინეთის ერთს ხუთკუთხედიან ქალაქში თავ-თავისი საკუთარი რკინის გზის ხაზის გაყვანა.

ჩინეთის მთავრობა საგონებელში ჩავარდა: არ იცოდა, რა გზით დაეკმაყოფილებია ხუთივე სახელმწიფო.

ერთ-ერთი მანდარინის რჩევით ხუთივე სახელმწიფოს დართეს ნება, მაგრამ მეტად გაძნელდა ხუთივე სადგურის ქალაქის ფარგლებში მოწყობა, ვინაიდან პირობა იყო დადებული, რომ ერთს ლიანდაგს მეორე არ გადაეკვეთა.

ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი დიდხანს მოუხდნენ ამ საკითხის გადაწყვეტას, რადგან ჩინეთის მთავრობაში ცვლილება ხდებოდა და ამგვარად გეგმა იშლებოდა.

აქაც იმავე მანდარინმა გამოაკეთა საქმე. გამოიცანით, როგორ?

პინ მოტყუვდა


ერთ კაცს 40 ბოთლი ღვინო ჰქონდა და ისე ჩაალაგა ყუთში, რომ ყოველ გვერდზე 11 ბოთლი გამოდიოდა. როცა უნდოდა შეეტყო, ხომ არავინ მოპარა, გვერდებზე დათვლიდა ხოლმე.

1	9	1
9		9
1	9	1

მსახურმა გაუგო ესა და მიუხედავად იმისა, რომ პატრონი სთვლიდა, მაინც 16 ბოთლი მოპარა რამდენიმეჯერ, მაგრამ ისე ალაგებდა ბოთლებს, რომ გვერდებზე ისევ 11 გამოდიოდა.

როგორ ალაგებდა მსახური ბოთლებს?

ტურული ამოცანა.



ისე, რომ მოცემული ასოებიდან ზევით გამოვიდეს შეკითხვა და ქვევით მისი პასუხი.

თამაშობა (ლეკური)

სოფ. შ. შავიძის.

მესამე თამაშ შავიძის.

Allarghetto (შევიფრ)

ცან-გან-ღაცევიდა ვა-გან-გან-ღაცე-ღაცე; აბა ვითი ვერს ღონი რი წაღ-ბი-ჭო, სავალო.

რ-ი ბენ ვი ვინაყანდ, ხეც-ის-კან-ყან-ღაცე-ღაცე; ხეც-ის-გან-ღაცე-ღაცე-ღაცე, წიყ-მე-ღაცე-ღაცე-ღაცე



Handwritten musical score for piano and voice. It consists of two systems, each with a vocal line and a piano accompaniment. The score includes dynamic markings like *mf* and *dim.* and articulation like accents.

2. გოგო, შენ სად მიკუნჭულხარ,
წამოდგეჯი, აბა, წინა;
დაუარე, დატრიალდი
შენებურად, თინათინა!
რატომ შენ-კი არ თამაშობ,
კობტა ბიჭო, ობოლოო,
იმნაირად იბერები,
როგორც დიდი ბობოლოო.

4. ტაში! ტაში! ღბინი არის,
ვისაც უნდა, ითამაშოს.
ჩვენ სულაც არ ვებვეწებით
არც კოწიას, და არც მამოს.
ჩვენ კოწიას თამაშობას
არც კი ჩავთვლით შაურადა,
თუ ბიჭია, დაუაროს
თუშურად და ფშაურადა!

3. რათ არ გაეთამაშები.
თვალმაცვალა სოფიოსა
მუდამ ხომ არ მოუდგები
სიმინდსა და ლობიოსა!
ცანგალა და გოგონა,
გოგონა და ცანგალო!
ბანი მომეც, გენაცვალე,
მეტსახელა...
საქათვლით ხაჯობეთი

5. აბა, კობტად, ვანოსავით
ჩამოფრინდი, წრე მოავლე,
არ ჩამორჩე ამ თუშს, ვინძლო,
შენ, ფშაველო, ბიჭო პავლე!
ვიციტ, რომ თქვენც გვასახელებთ,
სულიკო და ჩვენო ნანა,
თამაშობა ჩაკვანწული
არვინ იცის თქვენისთანა!





გაგორვა 1926 წ. გაგორვა

უბველთვიური საშეგვილთ ღასუკათეგული
— უ უ რ ნ ა ლ ე ბ ი —

მოსრდლილთათვის წითელი სხივი წელიწადი 80-9

მცირეწლოვანთათვის ნაკადული წელიწ. 80-XXII

უურნალის ს. ს. ს. რ. შველა სკოლეგისათვის სავალდებულოა.

ლენინის სხელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეოველი წევრის, ორგანიზაციის ეოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულე-ბაა გამოიწერონ:

„წითელი სხივი“ და „ნაკადული“

ხელის მოწერა მიიღება წლიურად:

- „წითელი სხივი“ გაღაგზავნით — 5 მან.
- „ნაკადული“ „ 3 მან. 50 კაპ.
- სალკე ნოგ. „წითელი სხივი“ — 45 კაპ.
- „ „ „ნაკადული“ — 35 „

მისაგართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 31. განათლების სახალსო კომისარიატი. „წითელი სხივი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკელაქვიო კოლეგია.